



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის
ბიუროს დასვინა და ბუნებრივი
ხელისუფლების ხელისუფლების
თემატიკის მოხსენების ანგარიში

მენიუსიანი ნაწილის
სფეროში ახსნა
მომართების შესახებ

თემატიკის მოხსენის #ECI-20/02



წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს პარლამენტის ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით და ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდთან (WFD) თანამშრომლობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

სარჩევი

სამუშაო ჯგუფი	3
უფლებამოსილება.....	4
1 შესავალი	5
2 თემატური მოკვლევა - მოკლე შეჯამება.....	8
3 სახელმწიფო მიდგომა და მართვის სისტემა	10
4 მოკვლევის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები.....	13
სატარიფო პოლიტიკა და ხარჯების ამოღება მუნიციპალიტეტებში	13
ნარჩენების აღდგენის (რეციკლირება და სხვა სახეები) განვითარების ბარიერები	19
ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ნაკლოვანებები	24
ოფიციალური და სტიქიური ნაგავსაყრელები.....	27
მუნიციპალიტეტების საჭიროებები	30
საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო სისტემის არარსებობა	34
ცნობიერების არასაკმარისი დონე ნარჩენების მართვის საკითხებზე.....	36
5 კანონმდებლობა ნარჩენების შესახებ.....	40
საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები	40
სამართალდარღვევები	43
ახალი საკანონმდებლო რეგულაცია.....	45
6 ნარჩენები და საზოგადოებრივი ჯანდაცვა.....	47
7 გარემოს კომიტეტის რეკომენდაციები.....	50
8 წარმოდგენილი დასაბუთებული მოსაზრებები	54
9 ზეპირი მოსმენები.....	55
10 გამოყენებული წყაროები.....	57

სამუშაო ჯგუფი

მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებულ მდგომარეობაზე თემატური მოკვლევის ჩასატარებლად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან (შემდგომში „გარემოს კომიტეტი“) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან საქართველოს პარლამენტის წევრები:

1. [ნინო წილოსანი](#)
2. [კახაბერ კუჭავა](#)
3. [დავით სონღულაშვილი](#)
4. [თინათინ ბოკუჩავა](#)
5. [მერაბ ქვარაია](#)
6. [გოგა გულორდავა](#)
7. [მამუკა ჩიქოვანი](#)
8. [ემზარ კვიციანი](#)

უფლებამოსილება

გარემოს კომიტეტთან არსებული თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფი „მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ“ შეიქმნა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის (2018 წელს მოქმედი რედაქციის) 29-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე.

სამუშაო ჯგუფი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის დებულების, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის აპარატის დებულების, საქართველოს კანონმდებლობისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან არსებული მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფის დებულების შესაბამისად.

ანგარიშის ხელმისაწვდომობა

საპარლამენტო თემატური მოკვლევისას მიღებული და გამოყენებული მასალა, დოკუმენტაცია, ანგარიშები, დასკვნები და კომიტეტის საბოლოო ანგარიში ელექტრონულად ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე

www.parliament.ge

თემატურ მოკვლევაზე მუშაობდნენ:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის აპარატი:

გიორგი ცხვედიანი, თამარ გელდიაშვილი, ნანა გოგიტიძე, დემეტრე ხოფერია (სტაჟიორი)

ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) საქართველოს ოფისი:

ბორის ნადირაძე (ხელმძღვანელი), ხათუნა გოგალაძე (მოწვეული ექსპერტი)

საკონტაქტო ინფორმაცია

📍 რუსთაველის გამზირი 8

0114, თბილისი

☎ (+995 32) 2 28 15 09

✉ garemo@parliament.ge

1 შესავალი

1. გარემოსდაცვით გამოწვევებზე რეაგირების კუთხით, სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარემოს კომიტეტისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი უფლებამოსილება - ზედამხედველობა გაუწიოს სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ვიზიტების დროს, ადგილობრივი მოსახლეობა ერთ-ერთ უმთავრეს გარემოსდაცვით გამოწვევად ასახელებდა მუნიციპალური ნარჩენების მართვას. აღნიშნული პრობლემისა სიმწვავის გათვალისწინებით, გარემოს კომიტეტმა მეორე თემატური მოკვლევის საგნად შეარჩია მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობა - საკითხი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ნაწილზეც აქვს ზეგავლენა.

2. ნარჩენებისა და რესურსების მართვა ერთ-ერთი გლობალური გამოწვევაა. ამ პროცესის არაეფექტიანად წარმართვამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ქვეყნის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე, საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე. ნარჩენების მართვის კუთხით საქართველომ არაერთი ინიციატივა განახორციელა, თუმცა მათგან უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების თანმდევი ცვლილებები, რომლებიც შეეხო ნარჩენებისადმი მიდგომებსაც. ამ ცვლილებების მიხედვით, ნარჩენები აღარ აღიქმება დამაბინძურებლად და განიხილება როგორც რესურსი და ენერჯის წყარო. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც წახალისებს ნარჩენების პრევენციას, ხელახალ გამოყენებას, გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას და მაქსიმალური სარგებლის მიღებას მათი მართვიდან.

3. წინამდებარე ანგარიში ასახავს ნარჩენების მართვის სფეროში არსებულ გამოწვევებსა და მათ აღმოსაფხვრელად გაცემულ რეკომენდაციებს, თუმცა ანგარიშის მიზნებისთვის ძირითადი აქცენტი კეთდება მუნიციპალურ ნარჩენებზე. **2015 წლის მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად, დაახლოებით, 900 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება. აქედან 700 ათასი ტონა განთავსდება ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე.¹** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2020 წლის ივლისში მოწოდებული ზეპირი ინფორმაციის თანახმად, ამჟამად ნაგავსაყრელებზე განთავსებული მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 1,013,000 ტონას, თუმცა უცნობია მათი მთლიანი წლიური რაოდენობა ქვეყანაში. ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება რესურსების არაეფექტიანი გამოყენების მაგალითია, ვინაიდან ისინი მიიჩნევა ღირებულ რესურსად. ნარჩენების მართვის მეთოდებს შორის უპირატესობა ენიჭება პრევენციას, ხელმეორედ გამოყენებისთვის მომზადებას, რეციკლირებასა და სხვა სახის აღდგენას, ხოლო ნაგავსაყრელზე განთავსება განიხილება ყველაზე ბოლო და ნაკლებსასურველ საშუალებად.

¹ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილება „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, მოძიებულია 12 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2Q4u6B9>.

4. აღსანიშნავია, რომ წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები სახიფათო და არასახიფათო ნივთიერებებს შეიცავს. ზოგადად, მათ განეკუთვნება ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, ქაღალდი და მუყაო, მინა, პლასტიკი, სამშენებლო ნარჩენები და ა.შ., თუმცა, ე.წ. „საყოფაცხოვრებო ნარჩენები“, არასახიფათო და ინერტულ ელემენტებთან ერთად, შეიცავს 1000-მდე სახიფათო კომპონენტსაც, კერძოდ, სამშენებლო, ელექტრონულ და სამედიცინო ნარჩენებს, სადენებს, ტექნიკას და სხვა.

5. ზემოაღნიშნულ გამოწვევაზე დროულად რეაგირებისთვის, 2018 წელს გარემოს კომიტეტმა, პირველი მოკვლევის („ატმოსფერული ჰაერის შესახებ“) პარალელურად, დაიწყო *რიგით მეორე თემატური მოკვლევა მუნიციპალური ნარჩენების შესახებ*. ამ მიზნით, გარემოს კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტისგან.

6. მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის სრულყოფილად შესწავლისთვის, გარემოს კომიტეტმა *მოკვლევის ყველა ეტაპზე მაქსიმალურად ჩართო ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარე*. სამუშაო ჯგუფმა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოაქვეყნა მოკვლევის ტექნიკური პირობები და დაინტერესებული მხარეებისგან მიიღო *8 წერილობითი დასაბუთებული მოსაზრება*. შემდგომ ეტაპზე კომიტეტმა *10 ზეპირი მოსმენა* ჩაატარა კითხვა-პასუხის რეჟიმში, *როგორც დასაბუთებული მოსაზრებების წარმომდგენებთან, ისე რელევანტურ სახელმწიფო უწყებებთან*. უნდა აღინიშნოს, რომ ეს *ზეპირი მოსმენები იყო საჯარო და გადაიციმოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით (მეორე არხის პირდაპირი ეთერი), ასევე, პარლამენტისა და კომიტეტის სოციალური ქსელებით*.

7. სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა მიღებული წერილობითი მოსაზრებები, კვლევები, ანგარიშები, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და საკითხის საკანონმდებლო რეგულირება; ასევე, წერილობით გამოითხოვა სხვადასხვა სახის ინფორმაცია შესაბამისი უწყებებიდან და, მათი დეტალური შესწავლის შემდეგ, მოამზადა წინამდებარე ანგარიში, სადაც ასახულია გარემოს კომიტეტის რეკომენდაციები მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

8. სამუშაო ჯგუფმა სულ *18 რეკომენდაცია* გასცა *10 სახელმწიფო უწყებისა და მუნიციპალიტეტების მიმართ, კონკრეტული ვადების მითითებით*. მუნიციპალური ნარჩენების მართვის თანამედროვე და ეფექტიანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია:

- ✓ სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება;
- ✓ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების აღსრულების გაუმჯობესება, საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად;
- ✓ სეპარირებული ნარჩენების შეგროვების სისტემისა და მათი ტრანსპორტირების გაუმჯობესება;
- ✓ ნარჩენების აღრიცხვის სისტემის შექმნა;
- ✓ ნარჩენების წარმოქმნის პრევენციისა და გადამუშავების/რეციკლირების ხელშეწყობა;

- ✓ მეთოდოლოგიის შექმნა ნარჩენების მართვის ხარჯების დასათვლელად და მათი სრული, ეტაპობრივი ამოღება;
- ✓ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის სფეროში;
- ✓ მუნიციპალიტეტთა შესაძლებლობების გაძლიერება და კვალიფიციური კადრების შენარჩუნება; კოორდინაციისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებსა და მუნიციპალიტეტებს შორის.

2 თემატური მოკვლევა - მოკლე შეჯამება

9. 2020 წლის ივლისის მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად, დაახლოებით, 1,013,000 ტონა ნარჩენი განთავსდება ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე.² ქვეყანაში არ არსებობს სახიფათო და ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელი და მხოლოდ გარკვეული სახის სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია ხდება, ისიც შეზღუდული რაოდენობით. გარკვეული გამოცდილება სპეციფიკური ნარჩენების გადამუშავების კუთხით არსებობს, თუმცა არ არის ჩამოყალიბებული სპეციფიკური ნარჩენების მართვის, მათ შორის, სეპარირებული შეგროვების სისტემები. შესაბამისად, ყველა სახის ნარჩენი მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე ხვდება.³ როგორც თემატური მოკვლევის ფარგლებში გამოვლინდა, მდგომარეობა ნარჩენების სეპარირების მხრივ მეტად რთულია რეგიონებში.

10. ნარჩენების ეფექტიანი მართვა და სარგებლის მაქსიმალურად გაზრდა ასოცირების დღის წესრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხია. ის პირდაპირ ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზნებს, რომელთა ნაციონალიზაციაც განახორციელა საქართველომ. შესაბამისად, მეორე თემატური მოკვლევის საგნის შერჩევისას, სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა საკითხის მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი საკვლევი საგნის მიმართ: ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ვიზიტების დროს ადგილობრივი მოსახლეობა ერთ-ერთ უმთავრეს გარემოსდაცვით გამოწვევად ასახელებდა მუნიციპალური ნარჩენების მართვას.⁴

11. 2018 წლის 28 სექტემბერს გარემოს კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული სისტემური გამოწვევები, როგორცაა: ტარიფების ამოღება მუნიციპალიტეტებში, ნარჩენების აღდგენის განვითარების ბარიერები, საინფორმაციო პორტალის არარსებობა, მუნიციპალიტეტთა სისუსტეები და საზოგადოების ცნობიერების დონე ნარჩენების მართვის კუთხით.

12. თემატური მოკვლევის ფარგლებში გამოცხადდა კონკრეტულ ფაქტებზე, კვლევებსა და მიგნებებზე დაფუძნებული წერილობითი მოსაზრებების მიღება დაინტერესებულ მხარეთაგან (სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი, კერძო სექტორი, დარგის ექსპერტები, სამეცნიერო სექტორის წარმომადგენლები და ნებისმიერი დაინტერესებული პირი). მიღებული დასაბუთებული მოსაზრებებისა და დამატებითი მასალის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოსაზრებების შემომტანთა აზრით, არსებულ გამოწვევებზე რეაგირება ნულოვანი ან არასათანადოა.⁵

13. გარემოს კომიტეტმა დაასრულა რიგით მეორე თემატური მოკვლევა და შეიმუშავა წინამდებარე ანგარიში. მისი რეკომენდაციების შესრულების შედეგად:

² საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2020 წლის ივლისში მოწოდებული ზეპირი ინფორმაცია.

³ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N1124 განკარგულება „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“, მოძიებულია 12 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/30rHg04>.

⁴ შენიშვნა: ვიზიტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა 2018 წელს.

⁵ იხ. მე-15 წყარო.


- ✓ ხელი შეეწყობა მოქმედი კანონმდებლობის სწორ და ეფექტიან აღსრულებას;
- ✓ არსებულ გამოწვევებზე რეაგირება იქნება სწრაფი და ქმედითი;
- ✓ გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
- ✓ გაუმჯობესდება კომუნიკაცია როგორც პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებებს შორის, ისე დაინტერესებულ მხარეებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

14. გარემოს კომიტეტი მიიჩნევს, რომ ნარჩენების მართვისთვის დაწესებული ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა შესაძლოა ვერ მოხერხდეს ნარჩენების მართვაში არსებული სისტემური ხარვეზების გამო. აღნიშნულ გამოწვევაზე რეაგირების მიზნით, გარემოს კომიტეტის პოზიციაა, რომ გარდა ანგარიშში გაცემული რეკომენდაციებისა, აუცილებელია ნარჩენების მართვაში მონაწილე სახელმწიფო უწყებებმა, ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების გარდა, უნდა ითანამშრომლონ 4 ძირითადი რეკომენდაციის აღსრულების კუთხითაც. ესენია:

- ✓ **ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა** - ნარჩენების ტრანსპორტირების სწორი მენეჯმენტი და ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, რათა სერვისი ხელმისაწვდომი გახდეს ქვეყნის მასშტაბით;
- ✓ **სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრა და მართვის ხარჯების ამოღების მაჩვენებლის გაზრდა** - სახელმწიფო სუბსიდირების ჩანაცვლება სწორი სატარიფო პოლიტიკით და ხარჯების ამოღების ზრდა „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის დაცვით;
- ✓ **ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა** - სარგებლის მაქსიმალური ზრდა, გარემოსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის ზიანის მიუყენებლად;
- ✓ **ნარჩენების მართვაზე ცნობიერების ამაღლება მუნიციპალურ დონეზე, განსაკუთრებით, იმ რეგიონებში, სადაც გადასახადების ამოღების მაჩვენებელი დაბალია** - ნარჩენების მართვის ფინანსური პასუხისმგებლობა თითოეულ მოქალაქეს აკისრია; ამის გააზრების გარეშე შეუძლებელი იქნება საჭირო მომსახურების გაწევა და ნარჩენების მართვის სათანადო სისტემის ჩამოყალიბება.

3 სახელმწიფო მიდგომა და მართვის სისტემა

15. საქართველოს გაცხადებული ნებაა მწვანე ეკონომიკისკენ სწრაფვა.⁶ ნარჩენების მართვის ხუთსაფეხურიანი მიდგომა მწვანე ეკონომიკისა და, ზოგადად, „მწვანე განვითარების“ (Green Growth)⁷ კონცეფციის განუყოფელი ნაწილია, რომლის მიხედვითაც, ნარჩენების მართვის მეთოდებს შორის უპირატესობა ენიჭება პრევენციას. შემდეგი პრიორიტეტებია, რიგის მიხედვით, პროდუქტის ხელმეორედ გამოყენებისთვის მომზადება, რეციკლირება, სხვა სახის აღდგენა (მაგ., ენერჯის აღდგენა), დაბოლოს, ნაგავსაყრელზე განთავსება, როგორც უკანასკნელი და ნაკლებად სასურველი საშუალება.⁸ ამ იერარქიის თანახმად, ნარჩენები არასასურველი ტვირთი კი არა, ღირებული რესურსია.⁹



სურათი 1 - ნარჩენების მართვის ხუთსაფეხურიანი იერარქია 3R-ზე (Reduce, Reuse, Recycle) დაყრდნობით

16. სასურველია, ნაგავსაყრელზე განთავსდეს მხოლოდ ის ნარჩენი, რომლის ხუთსაფეხურიან სისტემაში მოქცევაც (გადამუშავება) ვერ ხერხდება. ნარჩენების მართვა ხორციელდება ოთხ პრინციპზე დაყრდნობით:

- ✓ „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“ – მიღებული უნდა იქნას ზომები გარემოსთვის ნარჩენებით გამოწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად;
- ✓ „დამზინძურებელი იხდის“ პრინციპი – ნარჩენების წარმომქმნელი ან ნარჩენების მფლობელი ვალდებულია, გაიღოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ✓ „სიახლოვის პრინციპი“ – ნარჩენები უნდა დამუშავდეს ყველაზე ახლოს მდებარე ნარჩენების დამუშავების ობიექტზე, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით;

⁶ „მამუკა ბახტაძე: ჩვენს პრიორიტეტად განვსაზღვრეთ მწვანე პოლიტიკა და მწვანე ეკონომიკა“, საქართველოს ახალი ამბების სააგენტო, 28 სექტემბერი 2018, მოძიებულია 10 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2Fwb43r>.


⁷ The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), *What is green growth and how can it help deliver sustainable development?* მოძიებულია 1 ივლისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/31xHB1z>.

⁸ 2008 წლის 19 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/98/EC დირექტივა ნარჩენების შესახებ, მოძიებულია 10 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2XB9Yd3>.

⁹ იქვე, მუხლი 4.

- ✓ „თვითუზრუნველყოფის პრინციპი“ – უნდა ჩამოყალიბდეს და ფუნქციონირებდეს მუნიციპალური ნარჩენების განთავსებისა და აღდგენის ობიექტების ინტეგრირებული და ადეკვატური ქსელი“.¹⁰

17. საქართველოში ფუნქციონირებს 56 ნაგავსაყრელი, რომელთაგან 54-ს (თბილისისა და აჭარის ა/რ-ის ობიექტების გარდა) მართავს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“. 2013-2019 წლებში მან 31 მუნიციპალური ნაგავსაყრელი მოაწყო. აქედან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაიხურა 23.¹¹ აღსანიშნავია, რომ ხსენებული ობიექტები ოფიციალურია და არ მოიცავს სტიქიურ და არაოფიციალურ ნაგავსაყრელებს.



სურათი 2 - მუნიციპალური ნაგავსაყრელების განლაგება (წყარო: შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“)

18. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ინფორმაციით, ქვეყანაში არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელებს ნარჩენების განთავსების ახალი რეგიონული ობიექტები ჩანაცვლებს. ზოგიერთი მუნიციპალური ნაგავსაყრელი, რომელიც ქვეყნის მთიან რეგიონში მდებარეობს, კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას, რადგან ზამთარში დიდთოვლობის გამო ჩაკეტილი გზები ნარჩენების ტრანსპორტირებას რეგიონულ ნაგავსაყრელებზე შეუძლებელს გახდის.¹²

19. ნარჩენების მართვის სახელმწიფო სისტემის ფუნქციები სახელმწიფო უწყებებს შორის შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში „გარემოს დაცვის სამინისტრო“) პასუხისმგებელია შემდეგ საკითხებზე: სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ნარჩენების აღრიცხვა, მონაცემთა ბაზის

¹⁰ საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 5, მოძიებულია 28 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2pUULFa>.

¹¹ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“ მოძიებულია 18 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2WYI7TS>

¹² იქვე.

წარმოება, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მისი განხორციელების კოორდინაცია და ანგარიშგება მთავრობის წინაშე. ასევე სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება: გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით და მათი რეგისტრაცია; ნარჩენების პრევენციის, სეპარირების, წინასწარი დამუშავების, ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების ხელშეწყობა; ნარჩენების მართვის სახელმწიფო კონტროლი და სხვა; დამატებით, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი საქმიანობს უწყვეტი გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების, ასევე, ინსპექტირების მიმართულებებითაც;¹³

- ✓ **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად) პასუხისმგებელია სამედიცინო ნარჩენების მართვასა და კონტროლზე;
- ✓ **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** (გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად) არეგულირებს ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებათა სტანდარტებს, ტრანსპორტირებისთვის გამოსაყენებელი კონტეინერების საკითხებსა და სახიფათო ნარჩენების გადამზიდავ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- ✓ **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** (გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად) არეგულირებს ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებს;
- ✓ **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს** მართვაში არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ პასუხისმგებელია არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელთა მოწყობაზე, მართვასა და დახურვაზე, ასევე, დახურვის შემდგომ მოვლასა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა-მართვაზე საქართველოში (თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ა/რ-ის ნაგავსაყრელების გარდა);
- ✓ **მუნიციპალიტეტების** ვალდებულებაა მუნიციპალური ნარჩენების მართვა (შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება, ნაგავსაყრელებისა და გადამტვირთავი სადგურების მოწყობისა და ოპერირების გარდა). აჭარის ა/რ-ისა და თბილისის ტერიტორიაზე შესაბამისი ორგანოების (მერია) კომპეტენციას განეკუთვნება: არასახიფათო ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება; გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და ოპერირება; ნაგავსაყრელების მოწყობა, ოპერირება, დახურვა და შემდგომი მოვლა; გარემოს ნარჩენებით დაბინძურების კონტროლი;
- ✓ **მუნიციპალიტეტები, შინაგან საქმეთა სამინისტრო და გარემოს დაცვის სამინისტრო** აკონტროლებენ სამართალდარღვევებს ნარჩენების მართვის სფეროში.

¹³ შენიშვნა: გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფები, სწრაფი რეაგირების ეკიპაჟების მეშვეობით, ახორციელებენ 24-საათიან პატრულირებას ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების, გარემოს ნარჩენებით დაბინძურების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

4 მოკვლევის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები

20. თემატური მოკვლევისას გამოვლინდა ხუთი ძირითადი გამოწვევა, რომლებიც თავის მხრივ, სხვა საკითხებსაც აერთიანებს. წლების მანძილზე ამ სფეროში რეგულაციების არარსებობა, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი, ადამიანური რესურსების ნაკლებობა, დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერება და სხვა ფაქტორები ქვეყანას გამოწვევების წინაშე აყენებს და საეჭვოს ხდის ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების ვადაში მიღწევას. ბოლო წლებში გადადგმული სასიკეთო ნაბიჯების მიუხედავად, ნარჩენების მართვის სფეროში ამჟამად არსებული მდგომარეობის ანალიზი არ იძლევა ერთმნიშვნელოვნად ოპტიმისტური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

21. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2015 წელს გამოაქვეყნა „მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანობის აუდიტი.“ დოკუმენტი ასახავს ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას საქართველოში და განიხილავს ნარჩენების ტრანსპორტირების, მომსახურების მოსაკრებლის, ასევე, ძველი, ახალი და სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემურ საკითხებს. საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენისას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეფექტიანობის აუდიტით აღწერილი პრობლემები მოკლე ვადებში არ აღმოიფხვრება და კვლავაც აქტუალურია.¹⁴ მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა ხასიათდებოდა ხარვეზებით, რეკომენდაციათა შესრულებისთვის მზაობა კი ძალიან დაბალი ან ნულოვანი გახლდათ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა 22 რეკომენდაცია, რომელთაგან 6-ის სტატუსია „მიმდინარე“, 1-ის - „შესრულებული“, ხოლო 15 რეკომენდაციასთან მიმართებით ვერ მოხერხდა სტატუსზე ინფორმაციის გამოთხოვა შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებებიდან.¹⁵

სატარიფო პოლიტიკა და ხარჯების ამოღება მუნიციპალიტეტებში

22. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია აწესებს მინიმალურ ეროვნულ მაჩვენებლებს, რომელთა განხორციელებასაც ესაჭიროება სისტემის გამართული ფუნქციონირება და შესაბამისი ფინანსური რესურსები. სტრატეგიის თანახმად, აუცილებელია:

- ✓ 2019 წლისთვის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების დანერგვა;
- ✓ 2020 წლისთვის მუნიციპალური ნარჩენების 90%-ისა და სახიფათო ნარჩენების 50%-ის შეგროვება;¹⁶
- ✓ 2020 წლისთვის სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია;
- ✓ 2020 წლისთვის ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება, „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად;
- ✓ 2023 წლისთვის არსებული ოფიციალური უნებართვო ნაგავსაყრელების დახურვა;

¹⁴ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, გიორგი კაპანაძე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 27 მარტი 2019.

¹⁵ იგივე.

¹⁶ იხ. წყარო 1, მიზანი 3, ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა, ამოცანა 3.3.

- ✓ 2025 წლისათვის ქალაქის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა (ქალაქი, მინა და პლასტიკი - 50%, მეტალი - 80%).

23. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავებისთვის დაწესებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი (ტარიფი), რომლის ოდენობასაც მუნიციპალიტეტები ადგენენ.¹⁷ იმ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, სადაც მომსახურება მიეწოდება, დაწესებულია ტარიფი, რომელიც თვეში ერთ სულ მოსახლეზე 0.15-დან 2.5 ლარამდე მერყეობს.¹⁸ გადაუხდელობის შემთხვევაში, ჯარიმები ეკისრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, თუმცა ასეთი ჯარიმების დაკისრებაზე ზუსტი მონაცემები არ არსებობს.¹⁹

24. შედეგად, სატარიფო პოლიტიკის არარსებობა, რეალურ ხარჯებთან შეუსაბამო და არაადეკვატურად დაბალი მოსაკრებელი, მისი არასრული შეგროვება და ხარჯების ამოღების ეფექტიანი სისტემის არარსებობა გავლენას ახდენს ნარჩენების სრულყოფილად მართვაზე და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მინიმალური მაჩვენებლების შესრულებას დათქმულ ვადებში. რეალური ხარჯების სრული სურათის უქონლობა, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ ძალიან დაბალია როგორც მოქალაქეებისთვის დაწესებული ნარჩენების მოსაკრებელი, ასევე მისი გადახდის კოეფიციენტი.²⁰

25. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ღირებულების უდიდესი ნაწილი სუბსიდირებულია მუნიციპალიტეტების მიერ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის თანახმად, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მოსაკრებელი გროვდება, დაწესებული ტარიფები დაუსაბუთებელია და არ ითვალისწინებს დასუფთავებისთვის საჭირო რეალურ ხარჯებს.²¹ ანგარიშის თანახმად, „აღნიშნული მიდგომა გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტებში არ ხდება სატარიფო სისტემის ანალიტიკური განხილვა, ხარჯისა და შემოსავლის გაანგარიშება, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მუნიციპალიტეტის საჭიროებისა და სერვისის სრულად მიწოდების შესაბამისი ტარიფის განსაზღვრა“.²² აღნიშნულ დასკვნას ამყარებს საჯარო უწყებების მოსაზრებებიც, რომლებიც დაფიქსირდა ზეპირი მოსმენების ფარგლებში. მაგალითისთვის, სატარიფო პოლიტიკაზე საუბრისას ალვერდ ჩანქელიანმა აღნიშნა, რომ „დღევანდელი სატარიფო პოლიტიკა ვერ პასუხობს არსებულ რეალობას; ის ტარიფები, რომლებიც დაწესებულია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებაზე, ვერ პასუხობს იმ სიტუაციას, რასაც კანონი გვკარნახობს, ანუ „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპს. ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია, გაიღოს ხარჯები. ამავდროულად, კოდექსში ჩადებულია 4 მთავარი პრინციპი, მათ შორის, მე-4 პრინციპი გვეუბნება, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების ადეკვატური სისტემა. ის არ ლაპარაკობს მაღალ ტექნოლოგიებსა და დამუშავების ტექნიკაზე, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ეს სერიოზულ ხარჯებთან არის კავშირში და კერძო სექტორი უნდა

¹⁷ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2 თებერვალი 2015, გვ. 36, მოძიებულია 20 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2qcHic6>.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იხ. წყარო 1.

²⁰ იხ. წყარო 17, გვ. 33.

²¹ იხ. წყარო 17, გვ. 68.

²² იხ. წყარო 17, გვ. 38.

იყოს ჩართული. როგორც მინიმუმ, ქვეყანას უნდა გააჩნდეს ნარჩენების გატანისა და ეკოლოგიურად განთავსების სისტემა.²³

26. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლის, გიორგი კაპანაძის თქმით, თბილისში მოქმედი სისტემა - კომუნალური გადასახადების ერთსა და იმავე საიდენტიფიკაციო კოდზე დაანგარიშება - უზრუნველყოფს გადასახადის ამოღების მაღალ დონეს. ამ თვალსაზრისით, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო ბათუმშიც, თუმცა სხვა მუნიციპალიტეტებში გადასახადის ამოღების მაჩვენებელი ძალიან დაბალია.²⁴

27. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის, ლევან ჯღარკავას ინფორმაციით,²⁵ დედაქალაქში დასუფთავების ხარჯების ამოღება 93%-დან 94%-მდე მერყეობს. 2018 წელს ამოღებულმა თანხამ 47 მლნ ლარი შეადგინა, თუმცა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ ამ მომსახურებისთვის დახარჯული თანხა წელიწადში 50 მლნ ლარს შეადგენს. შესაბამისად, საჭირო გახდა 3 მლნ ლარის სუბსიდირება.²⁶ მისივე თქმით, შემოღებული ტარიფი მოძველდა და მიმდინარეობს მუშაობა ახალ მეთოდოლოგიაზე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) გრანტის ფარგლებში.²⁷

28. ნარჩენების მართვისთვის დაწესებული ტარიფების არაადეკვატურობაზე საჯარო უწყებათა ზეპირი მოსმენისას, ისაუბრა არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის ნარჩენების სატარიფო პოლიტიკის შემუშავების ჯგუფის ლიდერმა, არჩილ ლეჟავამ. მან ტარიფების არსებული სისტემა შეაფასა, როგორც მოძველებული და არარელევანტური, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ნარჩენების მართვაზე გაწეული ხარჯების ამოღებას და განაპირობებს შესაბამისი სექტორის არასტაბილურობას.²⁸

29. დამატებით, არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის მიერ თემატური მოკვლევებისთვის მომზადებული დასაბუთებული მოსაზრება ხაზს უსვამს ნარჩენების მართვის მომსახურების მოსაკრებლის შეგროვების მნიშვნელობას; ამასთანავე, მიმოიხილავს არსებულ გამოწვევებს, როგორცაა მუნიციპალიტეტების მიერ დადგენილი ტარიფების არაადეკვატურობა, მოსაკრებლის დადგენის წესის არარსებობა და მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მოსაკრებლის ამოღების დაბალი მაჩვენებელი.²⁹

30. CENN-ის დასაბუთებული მოსაზრებიდან ჩანს, რომ USAID-ის პროგრამის ფარგლებში — „ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (WMTR)“ — შიდა ქართლის, აჭარის ა/რ-ისა და კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილია ინფორმაცია დასუფთავების მომსახურებით მოსარგებლეთა და დაწესებული გადასახადის

²³ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, ალვერდ ჩანქსელიანი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, 12 აპრილი 2019.

²⁴ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, გიორგი კაპანაძე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 27 მარტი 2019.

²⁵ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, ლევან ჯღარკავა, შპს „თბილსერვის“ ჯგუფის დირექტორი, 27 მარტი 2019.

²⁶ იგივე.

²⁷ იგივე.

²⁸ დასაბუთებული მოსაზრების შემოტან პირებთან ზეპირი მოსმენა, არჩილ ლეჟავა, ნარჩენების სატარიფო პოლიტიკის შემუშავების ჯგუფის ლიდერი, 1 მარტი 2019.

²⁹ დასაბუთებული მოსაზრება, ა(ა)იპ „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), ნარჩენების მართვის მომსახურების მოსაკრებლისა და დანახარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავება, ხელმისაწვდომია ბმულიდან <https://bit.ly/321F1xc>.

გადამხდელთა რაოდენობაზე. 2016 წლის მონაცემებით, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მოსაკრებლის მოსახლეობიდან ამოღების მაჩვენებელი, საშუალოდ, 19%-ს არ აღემატება,³⁰ რაც უარყოფითად აისახება სერვისის ხარისხზე.³¹ ამასთანავე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის რამდენიმე სოფელში ჯერ კიდევ არ მიეწოდება ნარჩენების მართვის მომსახურება, არ არის დაწესებული დასუფთავების მოსაკრებელი და, შესაბამისად, არ გროვდება ამ მომსახურების ხარჯების დასაფარი თანხებიც.

31. საუკეთესო მაჩვენებელი ხარჯების ამოღების კუთხით დაფიქსირდა თბილისსა და ბათუმში, სადაც მოქმედებს ე.წ. „ბილინგის სისტემა“ და დასუფთავების მოსაკრებელი მიბმულია ელექტროენერჯის მოხმარების გადასახადზე. ეს ადასტურებს, რომ მოქმედი ტარიფი მოძველებულია და საჭიროა ახალი მეთოდოლოგიის წარდგენა, რომელიც თანდათან შეამცირებს სუბსიდირების აუცილებლობას და გაზრდის კერძო სექტორის როლს.

32. 2019 წლიდან მუნიციპალიტეტებს ევალუბათ ნარჩენების ეფექტიანი სეპარირების სისტემის შემოღება, რომელიც სრულად უნდა დაინერგოს 2025 წლისთვის. ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების თანახმად, ნარჩენების მართვის სისტემა უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა და შესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს.

33. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, მაია ცქიტიშვილის განცხადებით, 2023 წლისთვის ქვეყნის მასშტაბით არსებულ ძველ მუნიციპალურ ნაგავსაყრელებს 8 ახალი რეგიონული ნარჩენების განთავსების ობიექტი ჩაანაცვლებს. ამ პროექტების განხორციელებით გაუმჯობესდება რეგიონების საცხოვრებელი პირობები.³² მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სწორედ ის გახლავთ, რომ დღემდე არ აშენებულა არც ერთი რეგიონული ნაგავსაყრელი და საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის დეტალური ინფორმაცია ნაგავსაყრელების შესახებ (კერძოდ, რომელ მუნიციპალიტეტებს მოემსახურება ობიექტი, რა ვადებში ამოქმედდება, და რამდენი იქნება ე.წ. „ჭიშკრის გადასახადი“). ეს საჭიროებს დროულ და ეფექტიან რეაგირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება ნარჩენების მართვის სრულფასოვანი სისტემის დანერგვა. სტრატეგიული დოკუმენტები და ზოგადი ინფორმაცია მიმდინარე საერთაშორისო პროექტებზე, მათი დაფარვის არეალებით, განთავსებულია კომპანიის ვებგვერდზე. მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაზიარებაც.

34. საყურადღებოა, რომ თბილისის მერის განცხადებით, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) გრანტით, მერია იწყებს ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავებას. ამისთვის EBRD-მ, დაახლოებით, 500 000 ევრო გამოყო. მის მიერ გამოცხადებული ტენდერით შეირჩა კონსორციუმიც, რომელიც აღნიშნულ დოკუმენტს შექმნის. როგორც დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, ნარჩენების მართვის სტრატეგია „ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც დაეყრდნობა ევროპულ გამოცდილებას, გაწერს გრძელვადიან ხედვას, თუ რა თანმიმდევრული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ეროვნული კანონმდებლობითა და ევროკავშირთან

³⁰ თემატური მოკვლევის ფარგლებში მიღებული დასაბუთებული მოსაზრებების ანალიზი, ხათუნა გოგალაძე.

³¹ იხ. წყარო 29.

³² მუნიციპალური ნაგავსაყრელები 8 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელით ჩაანაცვლდება, Reginfo.ge, 24 იანვარი 2019, მოძიებულია 14 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/34yblwQ>.

ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. რაც შეეხება საკონსულტაციო კომპანიის ვალდებულებებს, მათ შორისაა: არსებული მდგომარეობის შესწავლა და პირველადი კვლევა ნარჩენების განთავსებისა და რეციკლირების პრაქტიკასთან დაკავშირებით, ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შეფასება, ნარჩენების შემადგენლობის შესწავლა, საკანონმდებლო და სატარიფოს სისტემაში ხარვეზების აღმოჩენა. ასევე უნდა შემუშავდეს ახალი და ოპტიმალური სამარშრუტო სქემები ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის“.³³

35. დასუფთავების მოსაკრებლის გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიის შექმნის აუცილებლობა დაადასტურა ფინანსთა სამინისტრომაც.³⁴ ფინანსთა მინისტრის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის თქმით, ახალი მეთოდოლოგიისა და ტარიფების დანერგვას აზრკოლებს მოსახლეობის მზაობის ნაკლებობა და დამოკიდებულება დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის მიმართ.

36. ტარიფების დაანგარიშების სრული ხარჯთაღრიცხვის მეთოდოლოგია, რომელიც მუნიციპალიტეტებმა შეიძლება საორიენტაციოდ აიღონ, CENN-ის უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით მომზადდა და ემყარება ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომებს: ერთი და იმავე სერვისისთვის თანაბარი მოსაკრებლის დაწესება; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სუბსიდირება; საზოგადოების მონაწილეობა ტარიფების დადგენის პროცესში; „ბილინგის სისტემის“ შემოღება; „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის გათვალისწინება და სხვა. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სამი ტიპის მოსაკრებლის შემოღება: მოსახლეობისთვის, კომერციული, და სამრეწველო ობიექტებისთვის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შემუშავებული მეთოდოლოგია წარმატებით დაინერგა ყვარლის მუნიციპალიტეტში, რომელიც ასევე იწყებს ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკაში დანერგვას.³⁵

37. ტარიფების განსაზღვრისას, პირველ რიგში აუცილებელია მყარი ნარჩენების მომსახურების კონკრეტული სახეების დანახარჯების განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, ტარიფების დადგენის პროცესში ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს მაქსიმალურად ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა სახის დანახარჯზე. მოქალაქეები ინფორმირებული უნდა იყვნენ აღნიშნული დანახარჯების შესახებ, რათა უკეთ აღიქვან შეთავაზებული ტარიფების ფინანსური საფუძველი. მომსახურების პროგნოზირებული დანახარჯების დადგენა ტარიფების განსაზღვრის პროცესის მთავარი და, ამავდროულად, რთული ამოცანაა. თუმცა, ჩვეულებრივ, ადრე არსებული დანახარჯებისა და შემოსავლების ანალიზი წარმოადგენს საფუძველს მომავალი დანახარჯების პროგნოზირებისათვის.³⁶

38. უნდა აღინიშნოს, რომ ნარჩენების მართვის მაქსიმალურად გამართული სისტემის დანერგვა გაზრდის ამ მომსახურების არეალს ქვეყანაში და მოქალაქეებისთვის ის უფრო ხელმისაწვდომი გახდება. პარალელურად, საჭიროა გამართული სატარიფო სისტემის

³³ ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავება იწყება - EBRD-მა 0.5 მლნ ევრო გამოყო, Business Media Georgia, 27 ნოემბერი 2019, მოძიებულია 30 ივნისი 2020, ბმულიდან <https://bit.ly/3jPFAY3>.

³⁴ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, გიორგი კაკაურიძე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, 28 მარტი 2019.

³⁵ იხ. წყარო 29.

³⁶ დასაბუთებული მოსაზრება, ა(ა)იპ „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი“ (CENN), ნარჩენების მართვის მომსახურების მოსაკრებლისა და დანახარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავება, ხელმისაწვდომია ბმულიდან <https://bit.ly/321F1xc>.

შემუშავება, რომელიც შეამცირებს სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდიების წილს და ხელს შეუწყობს „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის დანერგვას. ამ სისტემის ამოქმედება მუნიციპალიტეტების მხრიდან ე.წ. „ჭიშკრის გადასახადის“ (Gate fee) გადახდასაც მოიცავს.³⁷ ასევე უნდა დაინერგოს მწარმოებელთა გაფართოებული პასუხისმგებლობის პრინციპი, რაც, თავის მხრივ, ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს სტიმულს მისცემს ნარჩენების გადამუშავებაში (რეციკლირება და აღდგენის სხვა სახეები) მეტი ინვესტიციის ჩასადებად.³⁸

39. მუნიციპალიტეტები ნარჩენების შეგროვებისთვის სუბსიდიებს იღებენ და ნარჩენების განთავსებისთვის არაფერს იხდიან.³⁹ ნარჩენების მართვის სისტემისთვის დაფინანსების მეთოდის შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თემატური მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ აუცილებელია დასუფთავების მოსაკრებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც სავალდებულო იქნება მუნიციპალიტეტებისთვის.

40. აღსანიშნავია, რომ USAID/CENN-ის ნარჩენების მართვის პროგრამამ შეიმუშავა დასუფთავების მოსაკრებლის გამოთვლის თანამედროვე მეთოდოლოგია, რომელიც განხილულია ყველა პასუხისმგებელ სამთავრობო დაწესებულებასა და სექტორში ჩართულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად. ამ მეთოდოლოგიით 18 მუნიციპალიტეტში დაანგარიშდა მოსაკრებელი, ყვარელში კი ის საკრებულომ დაამტკიცა.⁴⁰

41. 2022 წლის 31 დეკემბრამდე მუნიციპალიტეტებმა შეიმუშაონ ახალი ტარიფები, რეალური ხარჯებისა და სერვისების გაუმჯობესების გათვალისწინებით; შესაბამისმა სამინისტროებმა (ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის) დახმარება გაუწიონ მათ (მეთოდოლოგიების მიწოდებით, კონსულტაციებით, ტრენინგებით) და, საჭიროების შემთხვევაში, მოამზადონ წინადადებები.

42. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2020 წლის 15 დეკემბრამდე გარემოს კომიტეტს წარუდგინოს ანგარიში მთავრობის მიერ 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ სადაც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული მიზნების ადექვატურობის შეფასებისა და ღონიძირების განხორციელების პროგრესი მათი ამოქმედების დღიდან 2019 წლის ბოლომდე.

³⁷ ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის საინფორმაციო ბიულეტენი #3, ნარჩენების მართვის ახალი სისტემა საქართველოში, ოქტომბერი 2018, მოძიებულია 30 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2xHbwra>.

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე.

⁴⁰ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 ივლისის დადგენილება №53 „ყვარლის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მოძიებულია 10 ივლისი 2019, ბმულიდან <https://bit.ly/2XJ0dhT>

ნარჩენების აღდგენის (რეციკლირება და სხვა სახეები) განვითარების ბარიერები

43. ნარჩენების მართვის მეთოდად მიიჩნეოდა მათი განთავსება ნაგავსაყრელზე, თუმცა აღნიშნული მიდგომა მოძველდა და ნარჩენები განიხილება საჭირო რესურსად. ეს ხედვა აისახა ნარჩენების მართვაზე და, განთავსების ნაცვლად, სისტემა გადადის რეციკლირებისა და აღდგენის სხვა მიდგომებზე. ყოველდღიურად წარმოქმნილი დიდი რაოდენობით ნარჩენის ნაგავსაყრელებზე განთავსება აღარ არის გამართლებული გარემოსდაცვითი და ეკონომიკური თვალსაზრისით.

44. ნარჩენების აღდგენის (რეციკლირება და აღდგენის სხვა სახეები) განვითარების აუცილებლობა და ამ კუთხით არსებული ბარიერები ასახულია დასაბუთებულ მოსაზრებებშიც, რომლებიც გარემოს კომიტეტთან არსებულმა სამუშაო ჯგუფმა თემატური მოკვლევის ფარგლებში მიიღო. ამ მოსაზრებებში საყურადღებოა სამი ძირითადი საკითხი (ა) „მეორეული ნედლეულის“ ტერმინის განმარტება და კოდიფიცირების საჭიროება, (ბ) „მეორეული მატერიალური ნედლეულის“ დაბეგვრის წესები და (გ) რეციკლირების საკანონმდებლო ბარიერები.⁴¹

45. რევაზ ფოფხაძე დასაბუთებულ მოსაზრებაში ხაზს უსვამს მუნიციპალური ნარჩენების ყოველწლიურ ზრდას საქართველოში და სეპარაციისა და რეციკლირების აუცილებლობას. მისი თქმით, საჭიროა ნედლეულად გამოსადეგი მასის გამოყოფა ნარჩენებიდან და რეციკლირება, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს ნარჩენების რაოდენობას ნაგავსაყრელებზე.⁴² ამ მოსაზრებაში ასახული საკითხებიდან გარემოს კომიტეტისთვის განსაკუთრებით საინტერესოა გამოუყენებელი სამშენებლო მასალის დაბრუნება მწარმოებლისთვის, შემდგომი რეციკლირების მიზნით.

46. საყურადღებოა, რომ საქართველოში ერთადერთი სამშენებლო ნაგავსაყრელი 2010 წლიდან მოქმედებს, თუმცა ობიექტი არაოფიციალურია და ნაგავსაყრელის სტატუსი არ აქვს. აღნიშნული ნაგავსაყრელი ე.წ. „მიწის ამოვსების პრინციპით“ ფუნქციონირებს, რაც ნიშნავს, რომ ნებადართულია ინერტული ნარჩენებით ამოვსება. საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენისას, შპს „თბილსერვის“ ჯგუფის დირექტორმა ლევან ჯღარკავამ განმარტა, რომ ნაგავსაყრელისთვის ლოკაცია არასწორად შეირჩა, რადგან ტერიტორია ხასიათდება ძლიერი ქარით.⁴³ ფაქტია, რომ სამშენებლო ნაგავსაყრელების არარსებობა ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, თუმცა ცალკე კვლევის საგანია, რამდენად არის საქართველო მზად ამ კუთხით მუშაობის დაწყებისთვის.

47. საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენისას თამარ შარაშიძემ დააზუსტა, რომ ყოველდღიურად მზარდი მშენებლობების ფონზე, ერთი „სამშენებლო ნაგავსაყრელი“ საკმარისი არ არის. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ არსებობს გეგმა, რომლის თანახმად, მოხდება დამატებითი ლოკაციების იდენტიფიცირება და გამოყოფა შესაბამისი ნაგავსაყრელების მოსაწყობად, რომელთა საკანონმდებლო მოთხოვნებისა და

⁴¹ შენიშვნა: ტერმინები „მეორეული ნედლეული“ და „მეორეული მატერიალური ნედლეული“ გამოყენებულია ზეპირი მოსმენებისას, 12 აპრილი 2019.

⁴² დასაბუთებული მოსაზრება, შპს „TIRE GREEN“, საკომიტეტო მოკვლევა მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია ბმულიდან <https://bit.ly/2JSozvA>.

⁴³ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, ლევან ჯღარკავა, შპს „თბილსერვის“ ჯგუფის დირექტორი, 27 მარტი 2019.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ექსპლუატაცია მწარმოებლების კომპეტენციაში მოექცევა.⁴⁴

48. ნარჩენების აღდგენის საკითხსა და არსებულ ბარიერებს ეხება აკაკი ფანჩულიძის დასაბუთებული მოსაზრება.⁴⁵ დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია ნარჩენების დამუშავებით მიღებული მეორადი ნედლეულის ეკონომიკურ ციკლში ინტეგრირება და ნარჩენების ბაზრის განვითარება. ამ მიმართულებით, მოსაზრების ავტორი მიიჩნევს, რომ სასურველია სათანადო კლასიფიკატორის შექმნა მეორადი რესურსისთვის, რომელიც რეციკლირებით მიიღება. ეს ეკონომიკურ აგენტს მისცემს მისი დარეგისტრირების შესაძლებლობას.⁴⁶

49. ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებით, ზეპირ მოსმენაზე საყურადღებო ფაქტები მოიყვანა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრმა, პავლე ცაგარეიშვილმა. მისი განცხადებით, რეციკლირებადი ნარჩენის გადამუშავება ბიზნესისთვის მაშინ არის მომგებიანი, თუ ის იაფია. არის მაგალითები, როდესაც გადამამუშავებელი საწარმო დაიხურა ნარჩენების სიძვირისა და არარენტაბელურობის გამო. „თუ ნარჩენებს პროდუქტად თვლი და მეწარმეს დღგ-ს ახდევინებ, ეს სერიოზული ბარიერია ნარჩენების გადამამუშავებელი სექტორის განვითარებისთვის. აუცილებელია იმაზე დაფიქრება, რომ გამარტივდეს ნარჩენების შეგროვებისა და გადამამუშავებელი საწარმოებისათვის მიწოდების პროცედურები და წესები.“⁴⁷

50. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის აზრით, მეორადი ნედლეულისგან დამზადებულ პროდუქციაზე შესაძლებელია გარკვეული ფინანსური შეღავათების დაწესება, მაგრამ კონკრეტული წინადადებების განხილვისა და ანალიზის გარეშე, შეუძლებელი იქნება სწორი გადაწყვეტილების მიღება. „როდესაც ლაპარაკია მეწარმეების მიერ ჩამოწერილი პროდუქციის განადგურებაზე, ეს თვითმიზანი არ არის. მთავარია დადასტურება, რომ ეს პროდუქცია არ გაიყიდება და ბაზარზე განმეორებით არ მოხვდება. უნდა იყოს განსხვავება რეალურად გასაყიდ პროდუქციასა და ნარჩენს შორის. ეს განსხვავებები საკმაოდ მკაფიოდ იქნება გასაწერი.“⁴⁸

51. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის, გრიგოლ კაციას ინფორმაციით, რეგიონებში ნარჩენების სეპარირებისა და შემდგომი გადამუშავების ხელშესაწყობად, საპილოტე პროექტებისთვის რამდენიმე ქალაქი შეირჩა. მათთვის მოხდება სპეციალური სეპარირებული ურნების და ტექნიკის შეძენა. განხორციელდა იმ კომპანიების ინვენტარიზაცია, სადაც გადამუშავდება ნარჩენები, მაგალითად პლასტიკი, რაც შემდეგ ქვეყნიდან გააქვთ. მუნიციპალიტეტთა მიერ

⁴⁴ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, თამარ შარაშიძე, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, 28 მარტი 2019.

⁴⁵ დასაბუთებული მოსაზრება, აკაკი ფანჩულიძე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები, მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობა, პოზიცია N2, ხელმისაწვდომია ბმულიდან <https://bit.ly/2JDxwtY>.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ დასაბუთებული მოსაზრებების შემომტან პირებთან ზეპირი მოსმენა, პავლე ცაგარეიშვილი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს აღმასრულებელი საბჭოს წევრი, 1 მარტი 2019.

⁴⁸ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, გიორგი კაკაურიძე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, 28 მარტი 2019.

მოწოდებული ინფორმაციის პირველადი შეფასებით, 20 მილიონ ლარამდეა საჭირო დამატებით ტექნიკის შესაძენად.⁴⁹

52. CENN-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მუნიციპალური მყარი ნარჩენების ფიზიკური შემადგენლობა სხვადასხვა ფაქტორისა და რეგიონების მიხედვით იცვლება.⁵⁰ კვლევა ნათლად წარმოაჩენს ნარჩენების შემადგენლობის შეფასების მნიშვნელობას ნარჩენების ნაკადში აღდგენადი მასალების მოცულობის განსაზღვრაში, რათა ამის მიხედვით დადგინდეს ნარჩენების აღდგენისა და რეციკლირების პროგრამების ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობა. ნარჩენების შემადგენლობის შეფასება ასევე მნიშვნელოვანია ნაგავსაყრელზე განთავსებამდე დასამუშავებელი ბიოდეგრადირებადი მასალის ოდენობის დადგენის მხრივაც.

53. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის თანახმად, რეციკლირებადი მუნიციპალური ნარჩენების ბაზარზე საქართველოში წარმოდგენილია ოთხი კომპონენტი: **ქალაქი, პლასტიკი, მეტალი და მინა**.⁵¹ საყურადღებოა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა მიხედვით, წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების აქტივობები საქმიანობის სახეების მიხედვით ერთ კატეგორიად არის დაჯგუფებული. ამასთან, 2019 წლის პირველი ივნისის მდგომარეობით, 756 დარეგისტრირებული ბიზნესსუბიექტიდან აქტიურია მხოლოდ 149.⁵²

54. თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში ასახული მონაცემებით, „საქართველოში მცირეა მუნიციპალური ნარჩენებისა და მისი კომპონენტების წარმოქმნის პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის პროგრამების რაოდენობა. ვინაიდან ამ პროცესებში ჩართულ კომპანიებს არ ევალუბრებათ საქმიანობაზე ანგარიშების წარდგენა, ღონისძიებების შესახებ ინფორმაციაც საკმაოდ მწირია“.⁵³ დამატებით, „ნარჩენების ხელახალი გამოყენება დედაქალაქში, ძირითადად, ბოთლებითა და ალუმინის ტარით შემოიფარგლება. მიუხედავად იმისა, რომ თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში არსებობს ქალაქის, მინის, პლასტიკისა და ალუმინის რეციკლირების ობიექტები, მონაცემები ამ ობიექტების მიერ რეციკლირებული ნარჩენების რაოდენობაზე არ მოიპოვება“.⁵⁴

55. უმთავრესი ბარიერი, რომელიც უკავშირდება რეციკლირებისა და აღდგენის სხვა სახეებს, არის ნარჩენების სეპარაცია. სტენდები განთავსებულია დედაქალაქში. მათი საშუალებით შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებას და წინასწარ დამუშავებას უზრუნველყოფს კერძო კომპანია, რომელიც ნარჩენ ქალაქსა და მინას აწვდის საქართველოში მოქმედ გადამამუშავებელ საწარმოებს, ხოლო ალუმინი და პეტ ბოთლების ძირითადი ნაწილი ექსპორტზე გადის გადასამუშავებლად.⁵⁵

⁴⁹ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, გრიგოლ კაცია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე 2019 წლის 28 მარტის მდგომარეობით.

⁵⁰ იხ. წყარო 29.


⁵¹ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა, 3 აპრილი 2019, მოძიებულია 30 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2YP4gFJ>.

⁵² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი საქმიანობის სახეების მიხედვით, 1 ივნისი 2019, მოძიებულია 10 ივლისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2XXC2LT>.

⁵³ იხ. წყარო 51.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იქვე.



სურათი 3 - ნარჩენების დახარისხების სტენდები თბილისსა და ბათუმში, 2019 წლის 20 ივლისის მდგომარეობით (წყარო: <https://bit.ly/2LN7eqE>)

56. საყურადღებოა, რომ სეპარაციის ყუთების განთავსების მიუხედავად, პრობლემად რჩება მოსახლეობის ჩართულობა; კვლავ მთავარი გამოწვევაა საზოგადოების თითქმის ნულოვანი აქტიურობა და ცნობიერების დაბალი დონე.⁵⁶ მოკვლევის ჯგუფი დაინტერესდა შემდეგი საკითხით: მაშინ, როდესაც საქართველოში არ არსებობს გადამამუშავებელი ქარხანა და სეპარირებული ნარჩენი გადამამუშავდება მცირე ზომის (კუსტარული მეთოდით მომუშავე) საწარმოებში, ის დასაწყობდება, თუ ისევ ერთ ნაგავსაყრელზე განთავსდება.

57. თემატური მოკვლევის ფარგლებში განხორციელებული სამაგიდო კვლევა ცხადყოფს, რომ სეპარირებული ნარჩენები კვლავ ერთად იყრება. ეს არა მხოლოდ ფინანსური და ადამიანური რესურსების არაეფექტიანი ხარჯვაა, არამედ კერძო ინიციატივებსაც დამატებით ბარიერებს უქმნის. მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორის, ირაკლი მაჭავარიანის თქმით, დასუფთავების სამსახურისგან მიღებულ ნარჩენებს ქარხანაშივე ახარისხებდნენ სპეციალურად ამ საქმისთვის დაქირავებული მუშები.⁵⁷

⁵⁶ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, თამარ შარაშიძე, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, 28 მარტი 2019.

⁵⁷ „როგორ ვმართავთ ნარჩენებს“, ზურაბ ვარდიანაშვილი, ეკა მაღალაძე, 31 იანვარი 2017, მოძიებულია 15 ივლისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2YxYH2x>.

„ეს ძალიან რთული შრომაა, რადგან შერევის შემთხვევაში ვერ მივიღებთ პროდუქტს. ჩვენ ვამზადდებით ორგანულ სასუქს, ბიოდანამატების გარეშე. ქარხანა, ფაქტობრივად, მინიმალურად იყო დატვირთული, მაქსიმუმ, 10%-ით. ორგანული ნარჩენების გადამუშავებას დიდი პოტენციალი აქვს, თუ სეპარირებული შეგროვების სისტემა იმუშავებს, მაგრამ ქარხანა მთლიანად სუბსიდირებულია მარნეულის გამგეობის მხრიდან. დამოუკიდებლად, ის წამგებიანი ბიზნესია.“

ირაკლი მაჭავარიანი
მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი

58. სამშენებლო ნარჩენების პარალელურად, მნიშვნელოვანია საბურავებისა და ელექტრონული მოწყობილობების (ტელევიზორი, ელემენტები, მაგნიტოფონები, მაცივრები, მობილური ტელეფონები და სხვა) ნარჩენების საკითხი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის თანახმად, „საბურავებისა და ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების შეგროვებისა და გადამუშავების სიმძლავრე მცირეა, თუმცა მის მიმართ ინტერესი - დიდი.“⁵⁸ ამავდროულად, დიდია კერძო სექტორის ინტერესი ამ სფეროს მიმართ, რაზეც მიუთითებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაახლოებით 100-მდე კომპანიისთვის გაცემული ნებართვა სხვადასხვა ნარჩენების გადამუშავებაზე და ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირების საქმიანობაზე რეგისტრირებული 100-მდე კომპანია.⁵⁹

59. ამჟამად არასახიფათო ნარჩენების რეციკლირებაში საქართველოს მასშტაბით ჩართულია 19 კომპანია. ნარჩენების მართვის გეგმის თანახმად, პირველადი ბაზრების მდგომარეობა ასეთია:

- ✓ „ქალაქის სეპარირებული შეგროვება და რეციკლირება: საქართველოში რეციკლირების ეს სექტორი ყველაზე აქტიურია. მასში ჩართულია რამდენიმე კომპანია. საერთაშორისო ბაზრებზე, რეციკლირებული ქალაქის მაღალი ფასის გამო მისი ნაწილი გადის ექსპორტზე. ქართული კომპანიები ძირითადად აწარმოებენ შესაფუთ მუყაოს და ჰიგიენური დანიშნულების ქალაქს;
- ✓ პლასტიკი - ნარჩენი პლასტიკის ბაზარი საქართველოში წარმოდგენილია რამდენიმე კომპანიით, რომლებიც აღნიშნულ ნარჩენს იყენებენ კონტეინერების, საყოფაცხოვრებო ნივთების, შუალედური რეციკლირებული ნედლეულისა (პლასტმასის გრანულების, და სხვ.) და პარკების დასამზადებლად. საქართველოში ასევე არსებობს კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ პლასტიკის ნარჩენების, განსაკუთრებით, პლასტმასის ბოთლების, ექსპორტს თურქეთში, უკრაინასა და ირანში;
- ✓ მეტალის რეციკლირება - საქართველოში ალუმინისა და ლითონის რეციკლირებას ახორციელებს რამდენიმე კომპანია. მიღებული მასალით მზადდება ალუმინისა და ლითონის სხმულები, რომლებიც თავის მხრივ გამოიყენება სხვადასხვა პროდუქტის

⁵⁸ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა, 3 აპრილი 2019, მოძიებულია 30 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2YP4gFJ>.

⁵⁹ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, ალვერდ ჩანქსელიანი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის უფროსი, 4 აპრილი 2019.

დასამზადებლად. მეტალის შეგროვებას მისი მაღალი ღირებულება უწყობს ხელს, შესაბამისად, საქართველოს ნაგავსაყრელებზე ასეთი ნარჩენი ძალიან მცირე რაოდენობით ხვდება.

- ✓ მინის რეციკლირება - მინის წარმოებისა და რეციკლირების საქართველოს ბაზარი წარმოდგენილია ერთი კომპანიით (შპს „კერე“). იგი წარმოადგენს თურქული კომპანიის „Şişecam მინის ტარის ჯგუფის“ ქართულ ფილიალს, რომელიც მინის ტარის წარმოების დარგში მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა.⁶⁰

60. საქართველოს მთავრობამ, ფინანსთა და სხვა დაინტერესებული სამინისტროების, ასევე, გარემოს კომიტეტის ჩართულობით, 2022 წლისთვის პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში წარადგინოს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებასთან დაკავშირებული დაბეგვრის წესები და საგადასახადო შეღავათები.

61. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2021 წლის 1 ივნისამდე გარემოს კომიტეტს წარუდგინოს დეტალური ინფორმაცია სეპარირებული მუნიციპალური ნარჩენების შემდგომი მართვის შესახებ.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ნაკლოვანებები

62. ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, მუნიციპალური, მათ შორის, საყოფაცხოვრებო ნარჩენის შეგროვება და ტრანსპორტირება მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა.⁶¹ ნარჩენების შეგროვების მომსახურებას უმეტესწილად საჯარო ოპერატორები ახორციელებენ, რომლებშიც სახელმწიფოს წილი 100%-ია. კერძო სექტორიც გარკვეულწილად ჩართულია ნარჩენების მართვის სფეროში, თუმცა საჯარო-კერძო პარტნიორობის (Public-Private Partnership) პოლიტიკა ნათლად ჩამოყალიბებული არ არის.⁶²

63. თემატური მოკვლევის ფარგლებში, პავლე ჩუბინიძის დასაბუთებული მოსაზრება ხაზს უსვამს მუნიციპალიტეტთა მიერ ნარჩენების მართვის ოპტიმიზაციისა და გადამამუშავებელ საწარმოებთან თანამშრომლობის საჭიროებას.⁶³ საყურადღებოა, რომ მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტიანი მუშაობისთვის უმნიშვნელოვანესია მისი ერთ-ერთი მთავარი რგოლის, ნარჩენების გატანის სისტემის ოპტიმიზაცია. ამ მიმართულებით, მიმდინარეობს და დაგეგმილია პროექტები სხვადასხვა დონორთან თანამშრომლობით, თუმცა საკითხი საჭიროებს თანმიმდევრულ სამომავლო ქმედებებსაც.

64. ნარჩენები, ძირითადად, დიდ ქალაქებში გროვდება და შეგროვება-გატანის მომსახურება არ მოიცავს მცირე ზომის ქალაქებისა და სასოფლო დასახლებების უმეტესობას.⁶⁴

⁶⁰ იხ. წყარო 51.

⁶¹ იხ. წყარო 10.


⁶² იხ. წყარო 1.

⁶³ დასაბუთებული მოსაზრება, პავლე ჩუბინიძე, *მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობა*, ხელმისაწვდომია ბმულიდან <https://bit.ly/2LW1ife>.

⁶⁴ იხ. წყარო 3, გვ. 59.

65. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ნინო თანდილაშვილის ინფორმაციით, ამჟამად მდგომარეობა შეცვლილია, ნარჩენების შეგროვება-გატანის დაფარვის არეალები საკმაოდ გაიზარდა და, კონტეინერული თუ არა, ზარის სისტემა მაინც თითქმის ყველგან მოქმედებს, მით უმეტეს, მცირე ზომის ქალაქებში.

ნარჩენების მართვის სისტემის საშუალო ხარჯები



სურათი 4 - ნარჩენების მართვის სისტემის საშუალო ხარჯები (წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა)

66. ნარჩენების მართვაში ჩართული სახელმწიფო უწყებების ინფორმაციით, 2015 წლიდან დღემდე სიტუაცია ნარჩენების მართვის მხრივ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა გარკვეული მონაცემების მოძიება ვერ ხერხდება.⁶⁵

67. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის ანგარიშის თანახმად, ნარჩენების მართვის სფეროში არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ შეგროვება-გატანის პროცესი ნარჩენების მართვის სისტემის ყველაზე ძვირადღირებული ნაწილია. შესაბამისად, მისი გამართულად ფუნქციონირება დიდ გავლენას ახდენს სისტემის საერთო ხარჯის შემცირებაზე.⁶⁶

68. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის თანახმად, ნარჩენების შეგროვება-გატანის სისტემის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია რამდენიმე საკვანძო კომპონენტის გათვალისწინება, კერძოდ:

- ✓ მიზნის განსაზღვრა;
- ✓ ინფორმაციის მოპოვება ნარჩენების რაოდენობასა და ტიპებზე;
- ✓ კერძო და საჯარო სექტორებს შორის როლების განსაზღვრა;
- ✓ კონტეინერებისა და მანქანების საკითხი;
- ✓ შეგროვება-გატანის სიხშირე;
- ✓ მარშრუტი და განრიგი.

⁶⁵ შენიშვნა: მაგ.: მონაცემები საქართველოში წელიწადში წარმოქმნილი ნარჩენების საერთო რაოდენობის შესახებ და სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობის შესახებ.

⁶⁶ იხ. წყარო 17, გვ. 17.

69. პირველ რიგში, აუცილებელია განისაზღვროს **მისაღწევი მიზნები**, შემდგომი სრულყოფისთვის კი საჭიროა მათი რეგულარული განხილვა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა.⁶⁷

70. ნარჩენების მოსალოდნელ ოდენობაზე სანდო ინფორმაციის გარეშე, შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება საჭირო ტექნიკის, არეალის, ობიექტებისა და პერსონალის განაწილების შესახებ. შესაბამისად, **ინფორმაციის მოპოვება ნარჩენების რაოდენობასა და ტიპებზე** მათი მდგრადი მართვის განუყოფელი ნაწილია.

71. საყურადღებოა ნარჩენების შეგროვება-გატანისთვის საჭირო ტექნიკის მობილიზების საკითხიც. ამ კომპონენტისთვის განმსაზღვრელია ზუსტი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნარჩენების ოდენობასა და შემადგენლობაზე. **კონტეინერები და მანქანები** ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რომელსაც ზეპირი მოსმენებისას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი შეეხო. მისი თქმით, ტექნიკის სწორად განაწილება და განახლება დამატებით შესწავლასა და ყურადღებას საჭიროებს როგორც ფინანსური რესურსების დაზოგვის, ისე გარემოსდაცვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე.⁶⁸

72. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, **შეგროვებისა და გატანის სიხშირე** მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის კლიმატსა და საზოგადოებაზე. ნარჩენების შეგროვება-გატანის სიხშირის განსაზღვრას, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები როგორცაა ხარჯის შეფასება, მომხმარებლის მოლოდინი, ტერიტორიის მახასიათებლები, სადაც განთავსებულია ნარჩენები და ა.შ. „გარდა ამისა, სეზონური ცვლილებების გავლენამ ნარჩენების წარმოქმნაზე შესაძლოა, აუცილებელი გახადოს მარშრუტის შემცირება ნარჩენების წარმოქმნის კლების პერიოდში (ზამთარში) და მარშრუტის მომატება ნარჩენების წარმოქმნის მატების პერიოდში (ზაფხულში).“⁶⁹

73. ნარჩენების შეგროვება-გატანის ხარჯი მართვის სისტემის, დაახლოებით, 40-60%-ს შეადგენს. შესაბამისად, ყველაზე დიდი დანაზოგის გაკეთება შეიძლება **მარშრუტისა და განრიგის** სწორად შედგენით. არსებობს მრავალი სტრატეგია და ტექნიკა მყარი ნარჩენების ლოჯისტიკის სისტემის გამართულად მუშაობისთვის.⁷⁰

74. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილება „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომლის პირველ დანართში დეტალურად არის გაწერილი ნარჩენების შეგროვება-გატანის ყველა ასპექტი.

75. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, აჭარის ა/რ-ში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და მუნიციპალიტეტებმა, საჭიროებისამებრ, გადახედონ ნარჩენების გატანა-შეგროვების სისტემას და განახორციელონ მისი ოპტიმიზაცია. ეს, თავის მხრივ, გააუმჯობესებს სისტემის ეფექტიანობას, დაზოგავს ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს და დაფარავს საქართველოს მთელ ტერიტორიას. ანგარიში ამ რეკომენდაციის

⁶⁷ United States Environment Protection Agency (EPA); *Decision Maker's Guide to Solid Waste Management* Volume II; გვ. 4-5; მოძიებულია 20 აგვისტო 2020 ბმულიდან <https://bit.ly/3igSvSd>.

⁶⁸ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, ლევან ჯღარკავა, შპს „თბილსერვის“ ჯგუფის დირექტორი, 27 მარტი 2019.

⁶⁹ იხ. წყარო 17, გვ. 18.

⁷⁰ იხ. წყარო 17, გვ. 19.

შესრულების პროგრესზე შესაბამისმა პასუხისმგებელმა უწყებამ/მუნიციპალიტეტმა 2021 წლის 1 აპრილამდე წარუდგინოს გარემოს კომიტეტს.

76. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და აჭარის ა/რ-ში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, 2021 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, გაითვალისწინონ ნარჩენების შესაგროვებელი და გასატანი ტექნიკისთვის საჭირო ფინანსური რესურსები და, საჭიროებისამებრ, განაახლონ ან/და შეიძინონ ეს საშუალებები; ამ რეკომენდაციის შესრულების პროგრესი გარემოს კომიტეტს აცნობონ 2020 წლის 1 ნოემბრამდე.

ოფიციალური და სტიქიური ნაგავსაყრელები

77. მოკვლევის ფარგლებში მიღებული დასაბუთებული მოსაზრებები ცალკე არ გამოყოფს ოფიციალურ და სტიქიურ ნაგავსაყრელებს, თუმცა მათში ასახული გამოწვევები, თავის მხრივ, წარმოქმნის ე.წ. სტიქიური ნაგავსაყრელებს, რომლებსაც დროთა განმავლობაში აყალიბებს მოსახლეობა სერვისების მიუწოდებლობის გამო. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენისას ნაგავსაყრელების საკითხი არაერთხელ გაჟღერდა.



სურათი 5 - ლილოს ნაგავსაყრელი (ფოტო: აფციაური, 2017 წლის 1 მარტი)

78. სტიქიური ნაგავსაყრელების საკითხი მუნიციპალიტეტების კომპეტენციას განეკუთვნება. 2016-2030 სტრატეგიის მიხედვით, 2020 წლისთვის დაგეგმილია სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია.⁷¹ საჯარო უწყებათა ზეპირი მოსმენისას გიორგი შუხოშვილმა ისაუბრა ამ კუთხით არსებულ პროგრესსა თუ გამოწვევებზე და აღნიშნა:

⁷¹ იხ. წყარო 1, ამოცანა 4.3.

„მუნიციპალიტეტები აქტიურად ახდენენ სტიქიური ნაგავსაყრელების დასუფთავებას, ეს ჩვენთან კოორდინაციით ხდება. აქტიურობის მხრივ, გამოვყოფდი კახეთს.“⁷²

79. დამატებით, გიორგი შუხოშვილმა აღნიშნა, რომ 2015-დან 2019 წლამდე მუნიციპალიტეტთა ტექნიკური შესაძლებლობები გაუმჯობესდა - მათ გადაეცათ 157 ერთეული ნარჩენების შესაგროვებელი სპეცტექნიკა და 21 ათასი ურნა, რამაც საგრძნობლად გაზარდა შეგროვების არეალი.⁷³

80. ზემოხსენებული წინსვლის მიუხედავად, ნარჩენების მართვის სტრატეგიის მიხედვით, ნარჩენების შეგროვების მომსახურება არ მოიცავს სასოფლო დასახლებებს. გარდა ამისა, არსებული ნაგავსაყრელები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ქვეყანაში არსებობს უნებართვო და ე.წ. არაკონტროლირებადი სტიქიური ნაგავსაყრელები.⁷⁴

81. საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს დამტკიცებული აქვს ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმა, თუმცა რიგ სოფლებსა და მუნიციპალიტეტებს სერვისი არ მიეწოდებათ. შესაბამისად, მოსახლეობა იძულებულია, თავად შეარჩიოს ლოკაცია და გადაყაროს ნარჩენები, რაც იწვევს სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნას.⁷⁵

82. საქართველოში თითქმის ყველა დასახლებაშია ერთი ან მეტი სტიქიური ნაგავსაყრელი და ამ ობიექტებზე ნიადაგი უმეტესად დაბინძურებულია. არ ჩატარებულა ისტორიულად დაბინძურებული ადგილების სრული ინვენტარიზაცია. ასევე, მცირე გამონაკლისების გარდა, არ არის შეფასებული რისკები და არ შემუშავებულა რემედიაციის გეგმები.⁷⁶ განსაკუთრებით მძიმეა სიტუაცია რეგიონებში, სადაც, მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად, ნაგავსაყრელები მჭიდროდ დასახლებულ უბნებთან ახლოს მდებარეობს.⁷⁷

83. 2020 წლის ივლისის მონაცემებით, ვითარება ნაგავსაყრელებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიცვალა. 54 მუნიციპალური ნაგავსაყრელი მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მფლობელობაშია, აქედან 31 მოქმედია და 23 - დახურული. მოქმედ ობიექტებზე ათავსებენ მყარ, არასახიფათო ნარჩენებს, რომელთა რაოდენობა სისტემატურად განისაზღვრება. ნაგავსაყრელების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თითოეული მათგანისთვის შემუშავებულია შესაბამისობის გეგმები. გარდა ამისა, კომპანიას დაგეგმილი აქვს ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სტანდარტებს.⁷⁸

84. აქვე აღსანიშნავია სამშენებლო ნარჩენების განთავსების სირთულეები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერიტორიის

⁷² საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, გიორგი შუხოშვილი, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორი, 27 მარტი 2019.

⁷³ იგივე.

⁷⁴ იხ. წყარო 1.

⁷⁵ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, გიორგი კაპანაძე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ევექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 27 მარტი 2019.

⁷⁶ იხ. წყარო 1.

⁷⁷ „პრობლემური ნაგავსაყრელები“, ილია კილაძე, პირველი არხი, 29 იანვარი 2018, მოძიებულია 15 ივლისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2XXspOH>.

⁷⁸ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან 2020 წლის 20 ივლისს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში მიღებული ოფიციალური კორესპონდენცია.

გამოყოფა სტიქიური სამშენებლო ნარჩენებისთვის. სახელმწიფო სტრუქტურები არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ სამშენებლო მასალებისთვის სპეციალური ნაგავსაყრელი არ არსებობს და მათი მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე განთავსებაც აკრძალულია. ეს რთულ მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობას, რომელიც იძულებულია, ჯარიმის მიღების რისკქვეშ განათავსოს სამშენებლო ნარჩენები.⁷⁹

85. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე სამშენებლო ნარჩენის განთავსება აკრძალული არ არის. მყარი ნარჩენების მართვის კომპანია არსებულ ნაგავსაყრელებზე ათავსებს არასახიფათო სამშენებლო ნარჩენებს, შემდგომ ოპერირების პროცესში გამოყენების მიზნით (ნარჩენების გადაფარვა).⁸⁰

86. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ალვერდ ჩანქსელიანის ინფორმაციით, „თბილისში გამოყოფილია ადგილი (ხევი) სამშენებლო ნარჩენების განსათავსებლად, რომელზეც, გარკვეული ფინანსური რესურსის დახარჯვის შემთხვევაში (დაახლოებით 4 მილიონი ლარი), მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა (წყალგამტარი მილი, შენობა-ნაგებობა, შემოღობვა, განათება, საკონტროლო სისტემები) და მისი რესურსი გაიზრდება, დაახლოებით, 10 წლით, რითაც ამ ტერიტორიაზე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი საკითხები მოგვარდება“.

87. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით, თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს რამდენიმე სტიქიური ნაგავსაყრელი (მუნიციპალური და სამშენებლო), რომლებიც არ არის დახურული ან რეაბილიტირებული.⁸¹ მათ შორის ყველაზე მასშტაბურია:

- ✓ „ბელიაშვილისა და ფეიქრების ქუჩებზე, მდ. მტკვრის სანაპიროზე;
- ✓ აეროპორტთან ახლომდებარე გარდაბნის ავტობანზე;
- ✓ გლდანის ხიდებთან;
- ✓ თბილისის მოლის უკან, დიდმის საცდელი სასოფლო-სამეურნეო მეურნეობა;
- ✓ ლისის ტბასთან მდებარე გმანერის ქუჩაზე;
- ✓ 112-თან ახლომდებარე მაჭავარიანის ქუჩაზე;
- ✓ მუხიანის აგარაკების ტერიტორიაზე, ნოზაძის ქუჩაზე;
- ✓ თბილისის ზღვასთან ახლომდებარე, Hualing Group-ის ტერიტორიაზე.“⁸²

88. აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს სტიქიური ნაგავსაყრელების არა მხოლოდ დასუფთავებასა და დახურვაზე, არამედ წარმოქმნის პრევენციაზეც. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების თანმიმდევრულად, კოორდინირებულად და მჭიდრო კომუნიკაციითა განხორციელება იმ სახელმწიფო უწყებებს შორის, რომელთა უშუალო კომპეტენციასაც განეკუთვნება ნარჩენების მართვა.

89. დამატებით აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მაღალი ჯარიმებისა, სტიქიური ნაგავსაყრელების კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა 2012-2014 წლებში არ გაუმჯობესებულა.⁸³ ეს მიუთითებს, რომ დასახვეწია მონიტორინგის სისტემა,

⁷⁹ იხ. წყარო 17, გვ. 63.

⁸⁰ იხ. წყარო 78.

⁸¹ იხ., წყარო 51.

⁸² იგივე.

⁸³ იხ., წყარო 17, გვ. 62.

განსაკუთრებით, ისეთ მიდამოებში, სადაც ნარჩენები ხშირად არამიზნობრივად განთავსდება.

90. აჭარის ა/რ-ში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და მუნიციპალიტეტებმა განახორციელონ არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია და აღნიშნულზე ინფორმაცია კომიტეტს წარუდგინონ 2022 წლის 1 ივნისამდე.

91. აჭარის ა/რ-ში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და მუნიციპალიტეტებმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შესაბამისი ზომები მიიღონ ნარჩენებისგან დასუფთავებული ადგილების რეაბილიტაციისათვის და თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. ამ ღონისძიებების განხორციელებაზე ინფორმაცია აჭარის ა/რ-ში ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და მუნიციპალიტეტებმა 2020 წლის 31 დეკემბრამდე წარუდგინონ გარემოს კომიტეტს.

მუნიციპალიტეტების საჭიროებები

92. ზოგადად, ნარჩენების მართვის სისტემაში არაერთი ხარვეზი არსებობს, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება მუნიციპალიტეტებში არსებულ გამოწვევებს, თუმცა წინამდებარე ანგარიში ასახავს იმ ძირითად პრობლემებს, რომლებიც თემატური მოკვლევის ფარგლებში გამოვლინდა.

93. გარემოს კომიტეტი იზიარებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებას, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტებმა მიიღონ ზომები ნარჩენებისაგან დასუფთავებული ადგილების რეაბილიტაციის კუთხით და თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. ამ პროცესში მონაწილეობა უნდა დაევალოთ როგორც მუნიციპალიტეტებს, ასევე გარემოს დაცვის და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს. აღნიშნული უწყებების როლი, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია სტიქიური ნაგავსაყრელების აღმოფხვრისა და პრევენციისათვის.⁸⁴

94. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის აზრით, სახელმწიფო აუდიტის ანგარიში მომზადდა 2015 წელს და არ ასახავს დღევანდელ მდგომარეობას. კერძოდ, გამომდინარე „ნარჩენების მართვის კოდექსიდან“: „მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება მუნიციპალიტეტს ეკისრება, თუ აღნიშნული ტერიტორია კერძო საკუთრება არ არის.“ შესაბამისად, „სრულად მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა ეს საკითხი და საკანონმდებლო კუთხით დარეგულირებულია. ამასთან, იმიტომ დაადგინა კოდექსმა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების ვალდებულება, რომ ასევე გეგმებში გაწერილიყო სტიქიურ ნაგავსაყრელებთან დაკავშირებული საკითხები, მომხდარიყო მათი იდენტიფიცირება და დასუფთავების შესახებ გაწერილიყო კონკრეტული ღონისძიებები, ვადების მითითებით.“

95. ზემოაღნიშნულ გამოწვევებთან ერთად უნდა აღინიშნოს თემატური მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილი სხვა გამოწვევები და მუნიციპალიტეტთა საჭიროებები. კერძოდ, საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენისას გამოიკვეთა სამი ძირითადი გამოწვევა:

⁸⁴ იხ. წყარო 17, გვ. 56.

ფინანსური რესურსების ნაკლებობა, არასაკმარისი ტექნიკა და ოფიციალური სამშენებლო ნაგავსაყრელის არარსებობა.⁸⁵

96. დამატებით, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია ითვალისწინებს საჯარო სექტორის შესაძლებლობათა გაძლიერებას როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე.⁸⁶ თემატური მოკვლევის ფარგლებში მიღებული დასაბუთებული მოსაზრებებისა და ზეპირი მოსმენების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საყურადღებოა მუნიციპალიტეტთა შესაძლებლობების გაძლიერება. ნარჩენების მართვის სტრატეგიის თანახმად, გრძელვადიან პერსპექტივაში, „მუნიციპალიტეტებმა შესაძლებელია სრული პასუხისმგებლობა აიღონ მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე. ამასთანავე, მათ შეუძლიათ, შექმნან და მართონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ერთობლივი სისტემა. ასეთი მოწყობა კარგად არის აპრობირებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.“⁸⁷

97. ნარჩენების მართვის კოდექსი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტთა მიერ ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმების შემუშავებას და მათ შეთანხმებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.⁸⁸ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 60-მდე მუნიციპალიტეტს ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებული აქვს, თუმცა მუნიციპალიტეტებში აშკარად შეინიშნება დაგეგმვის შესაძლებლობათა ნაკლებობა. ამ მხრივ, ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა მაღალმთიან რეგიონებშია.⁸⁹

98. 2020 წლის აგვისტოში გარემოს კომიტეტმა სადეპუტატო შეკითხვებით მიმართა 63 მუნიციპალიტეტს და 40 მუნიციპალიტეტისგან მიიღო პასუხები. ამ ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ 2018-2020 წლებში მუნიციპალიტეტებმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარეს ნარჩენების მართვის მომსახურების გასაუმჯობესებლად. 2017-2020 წლებში თითოეულმა მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმა, რომელთა უმრავლესობა დამტკიცდა 2017 წლის დეკემბერში. შეძენილია 13 ათასზე მეტი ნარჩენების კონტეინერი და 43 ერთეული ტექნიკა. მუნიციპალიტეტთა უმრავლესობამ მოახდინა სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია, მათი ნაწილი კი დაასუფთავა და დახურა. ცალკე უნდა აღინიშნოს ბათუმის მუნიციპალიტეტის, როგორც მნიშვნელოვანი საკურორტო ქალაქის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2018-2020 წლებში ბათუმის შპს „სანდასუფთავებამ“ საკუთარი სახსრებით შეიძინა 6 ერთეული ტექნიკა და 3,971 ნარჩენების კონტეინერი, ამასთანავე, დაასუფთავა 54 ნაგავსაყრელი.

99. აღსანიშნავია მუნიციპალიტეტთა თანამშრომლობა მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან, რომელმაც 2018-2020 წლებში 40 მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადასცა 2580 ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერი. კონტეინერებისა და ტექნიკის ნაწილი შეძენილია მუნიციპალიტეტთა ბიუჯეტებიდან. მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებები აუცილებელი ფინანსური წყაროა ნარჩენების შემგროვებელი და გადამზიდავი ტექნიკის შესაძენად. ერთეულ შემთხვევებში

⁸⁵ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, ტარიელ გრატიაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის დასუფთავების სამსახურის უფროსი, 27 მარტი 2019.

⁸⁶ იხ. წყარო 1.

⁸⁷ იხ. წყარო 1.

⁸⁸ იხ. წყარო 10, მუხლი 13.

⁸⁹ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, ალვერდ ჩანქსელიანი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 12 აპრილი 2019.

მუნიციპალიტეტებს ეხმარებიან არასამეწარმეო იურიდიული პირები და დონორი ორგანიზაციები. მნიშვნელოვანია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობა მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ნარჩენების მართვის სფეროში (მაგ.: სისტემური კონსულტაციები, სემინარები და შეხვედრები).

100. როგორც აღინიშნა, სტიქიური ნაგავსაყრელები მნიშვნელოვნად აზიანებენ გარემოს. ისინი საფრთხეს უქმნის ბუნებრივ ეკოსისტემებსა და ადამიანის ჯანმრთელობას, ასევე, აფერხებს ტურისტული პოტენციალის განვითარებას. ამ თვალსაზრისით, სიტუაცია შორსაა იდეალურისგან. მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციით, ამჟამად 40 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 400-ზე მეტი სტიქიური ნაგავსაყრელია. ხშირ შემთხვევაში, ისინი სისტემატურად სუფთავდება, მაგრამ ნარჩენები კვლავ გროვდება. ზოგი ნაგავსაყრელი განლაგებულია ძნელად მისაწვდომ ადგილებში (მაგ.: ხევებში) და მათი დასუფთავება საჭიროებს სპეციალურ ტექნიკას. არსებული სირთულეების მიუხედავად, 2018-2020 წლებში დასუფთავდა და გაუქმდა 420 ნაგავსაყრელი. მიღებული ინფორმაციით, მიუხედავად ამ სიძნელებისა, ნარჩენების მართვის სფეროში არსებული ტენდენციები აშკარად დადებითია.⁹⁰

101. ზეპირი მოსმენის ფარგლებში, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების“ წარმომადგენლებმა შეაფასეს მუნიციპალიტეტის საჭიროებები და დააზუსტეს, რომ მუნიციპალიტეტთა გეგმების უმეტესობა არაადაამაყოფილებელია: „გეგმა მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც მიზნულია ბიუჯეტზე, შემუშავებული გეგმები კი, როგორც წესი, არ ითვალისწინებს ბიუჯეტურ დაგეგმვას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მუნიციპალიტეტებისთვის უფრო კომფორტულია ბიუჯეტის ნაწილში მთავრობის იმედზე ყოფნა. არის შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტს გააჩნია საკმარისი რესურსი, მაგრამ პრობლემა არასწორ მართვაშია. ამ თვალსაზრისით, დასაფიქრებელია მუნიციპალიტეტებში გამოცდილი კადრების ნაკლებობა.“⁹¹

102. მუნიციპალიტეტებში მუდმივად აღინიშნება ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური აღჭურვილობის ნაკლებობა, რასაც ემატება გადამზადებული კადრების ხშირი ცვლა. ნიშანდობლივია მუნიციპალიტეტთა დაბალი მოტივაცია ნარჩენების მართვის სფეროში რეფორმების გატარების კუთხით, რაც გაჟღერდა თემატური მოკვლევის ფარგლებში ჩატარებული ზეპირი მოსმენებისას.

103. ზეპირ მოსმენებზე CENN-მა განაცხადა, რომ ნარჩენების მართვის სფეროში რეფორმების გატარების მხრივ, სამაგალითოა ყვარლის მუნიციპალიტეტი და მის მიერ შემუშავებული ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც მომზადდა USAID-ის პროგრამის ფარგლებში: *ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (WMTR)*.⁹² ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, გივი ზაუტაშვილისა და ამავე მუნიციპალიტეტის მერიის დასუფთავების სამსახურის უფროსის, ტარიელ გრატიაშვილის განცხადებით, ყვარელში განთავსებულია 270 ერთეული 1,100-ლიტრიანი ურნა, რომელთა რაოდენობა,

⁹⁰ დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებები ხელმისაწვდომია ბმულზე <https://bit.ly/34ZGRr4>.

⁹¹ დასაბუთებული მოსაზრების შემომტან პირებთან ზეპირი მოსმენა, ნინო ჩხობაძე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების თანათავმჯდომარე, 1 მარტი 2019.

⁹² ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 ივლისის დადგენილება №53 „ყვარლის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მომიებულია 10 ივლისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2XJ0dhT>

გეგმის მიხედვით, 500 ერთეულით უნდა გაიზარდოს. მუნიციპალიტეტს ემსახურება 2017 წელს შეძენილი სამი ერთეული სპეცტექნიკა.⁹³

104. ყვარლის მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს ყველა ასაკობრივი ჯგუფის ცნობიერების ასამაღლებლად და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტურისტულ ზონებს. ყველაზე დიდი სიძნელე უკავშირდება სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელს, ვინაიდან პრობლემაა მისთვის ტერიტორიის გამოყოფა. ამჟამად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან კონსულტაციების საფუძველზე, სამშენებლო ნარჩენებით ივსება ორმოები კერძო პირების საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა გათავისუფლებულია გადასახადისგან. ნარჩენების გატანისა და ტრანსპორტირების მომსახურება მიეწოდება ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლობაში არსებულ ყველა სოფელს. ხარჯების ამოღება შეადგენს 100%-ს.⁹⁴

105. ნარჩენების მართვის ეროვნული გეგმით 2016-2018 წლებში გაწერილ საქმიანობებზე მონიტორინგისთვის, კომიტეტმა, თემატური მოკვლევის ფარგლებში, ინფორმაცია გამოითხოვა გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებიდან. მიღებული ინფორმაციის თანახმად, მდგომარეობა ეტაპობრივად უმჯობესდება: თითქმის ყველა მუნიციპალიტეტმა გამოავლინა სტიქიური ნაგავსაყრელები და გაატარა ღონისძიებები მათი ნაწილის გასაუქმებლად; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტურიზმის თვალსაზრისით მიმზიდველ ადგილებს; იზრდება ნარჩენების შეგროვების მომსახურების არეალი, რომელიც მუნიციპალიტეტების მიხედვით მოიცავს მათ გამგებლობაში არსებული ურბანული ტერიტორიის 80-100%-ს და არაურბანული ტერიტორიის 30-60%-ს; საანგარიშო პერიოდში შეძენილია შესაბამისი ტექნიკა, ნაგავშიდები 2-დან 6 ერთეულამდე და ნარჩენების კონტეინერები 100-დან 700 ერთეულამდე. ამავდროულად, ცალკეული მუნიციპალიტეტები ტექნიკის ნაკლებობაზე აკეთებენ აქცენტს.⁹⁵

106. ფინანსთა მინისტრის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის თქმით, **ყოველწლიურად 170-180 მილიონი ლარი იხარჯება ნარჩენების მართვის კუთხით**. მან ასევე დააზუსტა, რომ ბოლო პერიოდში ხარჯები მზარდია - დაახლოებით, 5%-10%-ით. დაგეგმილია 9 ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა, ძველის ჩასანაცვლებლად.⁹⁶

107. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორის მრჩეველის, ხათუნა ჩიკვილაძის ინფორმაციით, კომპანიის კომპეტენციაში შედის ნაგავსაყრელებისა და გადამტვირთავი სადგურების მშენებლობა, თუმცა იგი აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტებთან. კომპანიის ყველა პროექტში ჩადებულია მუნიციპალიტეტთა გაძლიერების კომპონენტი. მაგალითად, იმერეთის რეგიონში მუშაობს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW), რომელიც რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს დაეხმარა ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავებაში. ანალოგიური

⁹³ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, გივი ზაუტაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი და ტარიელ გრატიაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის დასუფთავების სამსახურის უფროსი, 27 მარტი 2019.

⁹⁴ იგივე.

⁹⁵ მუნიციპალიტეტების მიერ კომიტეტში წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაცია.

⁹⁶ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, გიორგი კაკაურიძე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, 28 მარტი 2019.

პროცესი მიმდინარეობს კახეთის და სამეგრელოს რეგიონებში.⁹⁷ პერიოდულად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მუნიციპალიტეტებს ამარაგებს ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერებით.⁹⁸


108. 2021 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას მუნიციპალიტეტებმა გაითვალისწინონ ნარჩენების შესაგროვებელი და გასატანი ტექნიკისთვის საჭირო ფინანსური რესურსები და, საჭიროებისამებრ, განახლონ ან/და შეიძინონ ეს საშუალებები. ამ რეკომენდაციის შესრულების პროგრესი წერილობით აცნობონ გარემოს კომიტეტს 2020 წლის 1 ნოემბრამდე.

109. საქართველოს მთავრობამ, 2022 წლიდან უზრუნველყოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ ნარჩენების მართვის კუთხით ყოველწლიური ხარჯვის ეფექტიანობისა და ხარჯთაღრიცხვის ანგარიშის გარემოს კომიტეტისათვის წარდგენა.

110. მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა გაამკაცრონ ზედამხედველობა მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოების მიერ ნარჩენების 5-წლიანი გეგმების შესრულებაზე და წელიწადში ერთხელ გარემოს კომიტეტს მიაწოდონ ინფორმაცია ამ სფეროში მიღწეულ პროგრესზე.

საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო სისტემის არარსებობა

111. ნარჩენების სისტემის გამართული ფუნქციონირებისა და ამ პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, უმნიშვნელოვანესია ნარჩენებთან დაკავშირებული მონაცემების არსებობა და მათი საჯაროობა. თემატური მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო პორტალის არარსებობა მუნიციპალური ნარჩენების შესახებ.



სურათი 6 - ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა (www.waste.moe.gov.ge)

⁹⁷ საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა, ხათუნა ჩიკვილაძე, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორის მრჩეველი, 28 მარტი 2019.

⁹⁸ იხ. წყარო 78.

112. ნარჩენების მართვის სისტემის დასაგეგმად, მნიშვნელოვანია სანდო ინფორმაციის მოპოვება წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობასა და ტიპებზე: ავტომობილის მიერ გასატანი ნარჩენების რაოდენობა განისაზღვრება მათი მოსალოდნელი ოდენობისა და ავტომობილის ტევადობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ნარჩენების სავარაუდო ოდენობაზე სანდო ინფორმაციის გარეშე, შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება საჭირო ტექნიკის, არეალის, ობიექტებისა და პერსონალის განაწილების შესახებ.

113. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის თანახმად, არ არსებობს ეროვნული მონაცემთა ბაზა წარმოქმნილი, შეგროვებული, ტრანსპორტირებული და დამუშავებული ნარჩენების შესახებ.⁹⁹ 2016 წლამდე არ არსებობდა სპეციფიკური ნარჩენების წარმოქმნისა და დამუშავების სისტემური ანგარიშგების მექანიზმიც. შესაბამისად, ინფორმაცია ასეთი ნარჩენების წარმოქმნის, სახეებისა და მახასიათებლების შესახებ ხელმისაწვდომი არ იყო. ასეთივე სიტუაციაა შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილ ნარჩენებთან მიმართებით, რაც საქართველოში ნარჩენების საერთო რაოდენობის საკმაოდ დიდ ნაწილს ქმნის.¹⁰⁰

114. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია „ნარჩენების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისათვის“.¹⁰¹ 2016 წლის შემდგომ, როდესაც ამოქმედდა ნარჩენების მართვის კოდექსის ძირითადი ნორმები და შემუშავდა კოდექსის ამოქმედების განმაპირობებელი ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და 5 წლიანი სამოქმედო გეგმა, ნარჩენების მართვის სფეროში შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმი მოითხოვს ამ საკითხის დროულად დარეგულირებას.¹⁰²

115. ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, 2016 წლიდან ამოქმედდა ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულება. მისი ფორმა და შინაარსი განისაზღვრა კანონქვემდებარე აქტებით. ნარჩენების სისტემის გამართული და გამჭვირვალე მართვისთვის, უმნიშვნელოვანესია ნარჩენებთან დაკავშირებული მონაცემების არსებობა და მათი საჯაროობა.¹⁰³

116. ნარჩენების მართვის კოდექსის კონკრეტული ნორმების ამოქმედებამ, რომლებიც ამ სფეროში მოქმედი კომპანიებისთვის ითვალისწინებს ნარჩენებზე ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებას, საფუძველი ჩაუყარა ნარჩენების მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნას. ეს პროცესი საწყის ეტაპზეა. საყურადღებოა, რომ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგისტრაციის ვალდებულება (კოდექსის 26-ე მუხლი) ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან, რეგისტრაციის პროცედურები და მოთხოვნები კი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილებით.¹⁰⁴

⁹⁹ იხ. წყარო 1.

¹⁰⁰ *იქვე*.

¹⁰¹ *იქვე*, მიზანი 8, ამოცანა 8.2.

¹⁰² *იქვე*, მიზანი 8.6.

¹⁰³ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“, მოძიებულია 10 ივლისი 2019, ბმულიდან <https://bit.ly/2JWJGwW>.

¹⁰⁴ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილება „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“, მოძიებულია 15 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2X5kdec>.

117. 2018 წლის პირველი იანვრიდან¹⁰⁵ ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში 2018 წლის მდგომარეობით დარეგისტრირდა 570 ორგანიზაცია და წარმოდგენილი იყო სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების 32,000-მდე ფორმა.¹⁰⁶ აქვე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, 2019 წელს ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში 40-ზე მეტი ორგანიზაცია დარეგისტრირდა ამ საქმიანობისთვის და წარმოდგენილია ნარჩენების ტრანსპორტირების 60,000-მდე ფორმა. კომპანიები შეიმუშავებენ და სამინისტროსთან ათანხმებენ ნარჩენების მართვის გეგმებს (ანგარიშის გამოქვეყნების ეტაპზე სამინისტროში წარმოდგენილი იყო 1,000-ზე მეტი კომპანიის გეგმა). აღნიშნული პროცესი სამომავლოდაც გრძელდება.¹⁰⁷

118. ამავდროულად, მუნიციპალიტეტების მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმები, ასევე, კომპანიების მიერ წარმოდგენილი გეგმები და მათში მოყვანილი ინფორმაციის ანალიზი, იძლევა პირველადი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებპორტალზე მოქმედი ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა განკუთვნილია ნარჩენების მწარმოებელი კომპანიისა და სამინისტროს მოხელეებისთვის, საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის კი მიუწვდომელია.

119. 2016 წლის დეკემბრიდან ამოქმედდა ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლი, რომლის თანახმად, ნარჩენების მწარმოებელმა კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ ნარჩენების მართვის გეგმები, რომლებსაც შესათანხმებლად წარუდგინენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და განაახლებენ 3 წელიწადში ერთხელ.¹⁰⁸

120. საჯაროდ ხელმისაწვდომი სისტემის არსებობა ამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას ამ კუთხით და სხვა გამოწვევებზე დროული რეაგირების საშუალებას მისცემს სახელმწიფო უწყებებს.

121. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2020 წლის 1 დეკემბრამდე შეიმუშაოს შესაბამისი საინფორმაციო სისტემის დასაანერგად აუცილებელი ღონისძიებები, მათი გატარების ვადებით, და გარემოს კომიტეტს წარუდგინოს 2021 წლის 1 მარტამდე. 2021 წლის 31 დეკემბრამდე სამინისტრომ უზრუნველყოს ნარჩენების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო სისტემის ვებპორტალის შექმნა.

ცნობიერების არასაკმარისი დონე ნარჩენების მართვის საკითხებზე

122. საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ნარჩენების წარმოქმნის პრევენციისა და მისგან მაქსიმალური სარგებლის მიღების პროცესში (ისე, რომ გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანდაცვას ზიანი არ მიადგეს).

123. თემატური მოკვლევის ფარგლებში მიღებულ წერილობით მოსაზრებებში ხაზგასმულია ნარჩენების მავნე ზეგავლენა, საზოგადოების ცნობიერების

¹⁰⁵ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წლიური ანგარიში 2018, გვ. 187, მოძიებულია 15 ივნისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/32WQy8c>.

¹⁰⁶ აქვე.

¹⁰⁷ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წლიური ანგარიში 2019, გვ. 138, მოძიებულია 15 ივნისი 2020 ბმულიდან <https://bit.ly/3kKEj4R>.

¹⁰⁸ შენიშვნა: ვრცელდება იმ ფიზიკური ან იურიდიული პირებზე, რომლებიც წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტ არასახიფათო ნარჩენს ან 1,000 ტონაზე მეტ ინერტულ ნარჩენს ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენს წარმოქმნიან.

არადამაკმაყოფილებელი დონე მათი მართვის შესახებ და ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებათა ნაკლებობა.¹⁰⁹

124. ეკოხედვის/ECOVISION-ის დასაბუთებული მოსაზრება ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების არასაკმარის ინფორმირებულობაზე ნარჩენების მართვის საკითხების შესახებ. კერძოდ, დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ ნარჩენების მართვა საქართველოში კვლავაც მხოლოდ დასუფთავებასთან, ნარჩენების შეგროვებასა და განთავსებასთან ასოცირდება, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ნარჩენების მართვის მთავარი მიზანია მათი სრული უტილიზაცია. ეს ხელს უწყობს ნაგავსაყრელებზე მხოლოდ იმ სახის ნარჩენის განთავსებას, რომელიც არ გადამუშავდება.¹¹⁰

125. დოკუმენტი ასევე მოკლედ მიმოიხილავს ნარჩენების მართვის და გარემოსდაცვითი განათლების საკითხებზე მიღებულ ძირითად სახელმწიფო დოკუმენტებს და ყურადღებას ამახვილებს დოკუმენტზე „განათლება მდგრადი განვითარებისათვის - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია და დაგეგმილია მისი 2019 წელს მიღება. ამ სტრატეგიის განხორციელება ასევე მნიშვნელოვანი იქნება ნარჩენების მართვის მიზნების ეფექტიანი განხორციელებისათვის.

126. დამატებით, მოსაზრების ავტორები წარმოგვიდგენენ მათი ორგანიზაციის მიერ გატარებული ზომების ჩამონათვალს ამ თემაზე და გვთავაზობენ საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებათა ნუსხას, რომლებიც ფოკუსირებულია შემდეგ საკითხებზე: საგანმანათლებლო მასალების შემუშავება-გავრცელება; ტრენინგების მიწოდება; მოსახლეობის, დარგის სპეციალისტების, ბიზნესსექტორისა და მედიის ინფორმირების მექანიზმების შემუშავება; ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების ჩატარება; დისკუსიების ორგანიზება; შემეცნებითი პროგრამების დანერგვა და ა.შ.

127. აუცილებელია ფართო საზოგადოების, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისა და კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით თემებზე, მათ როლზე გარემოსადმი პასუხისმგებელი საზოგადოების ფორმირებაში და გარემოსდაცვით უფლებებზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ჩათვლით. გარემოსდაცვითი ასპექტები შეტანილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამებში, თუმცა საზოგადოების სრული ჩართულობისა და ეფექტიანობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სათანადო გარემოსდაცვითი განათლების სისტემის საშუალებით, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ დონეზე.¹¹¹

128. აღსანიშნავია, რომ არაერთი პროფილური არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, თუმცა მოკლევადიანი და საპილოტე პროგრამების ფარგლებში, რაც არ კმარა მასშტაბებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. ეკოხედვის/ECOVISION-ის წარმომადგენელმა, ნინო სულხანიშვილმა, ზეპირი მოსმენებისას ისაუბრა საერთაშორისო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს მხარს სახელმწიფო უნდა უჭერდეს, და იმ ქვეყნებში, სადაც ნარჩენების მართვის სფეროში მიაღწიეს წარმატებას, სახელმწიფოსა და საზოგადოების როლი თანაბრად იყო განაწილებული.¹¹²

¹⁰⁹ დასაბუთებული მოსაზრება, პავლე ჩუბინიძე, მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობა, ხელმისაწვდომია ბმულიდან <https://bit.ly/2LW1ife>.

¹¹⁰ დასაბუთებული მოსაზრება, ეკოხედვა/ECOVISION, არაფორმალური განათლების როლი და მნიშვნელობა ნარჩენების მდგრადი მართვის პროცესში, ხელმისაწვდომია ბმულიდან <https://bit.ly/2NSRHZ7>.

¹¹¹ იხ. წყარო 3.

¹¹² დასაბუთებული მოსაზრების შემომტან პირებთან ზეპირი მოსმენა, ნინო სულხანიშვილი, ეკოხედვა|EVOVISION, დამფუძნებელი/ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში, 1 მარტი 2019.

129. მუნიციპალური ნარჩენების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად არაერთი ღონისძიება განხორციელდა, თუმცა ეს აქტივობები მასშტაბური არ იყო. არსებული მდგომარეობა ცხადყოფს, რომ საჭიროა დამატებითი ძალისხმევა. იმისათვის, რომ ცნობიერების დონე ამაღლდეს აუცილებელია ღონისძიებებმა მოიცვას შესაბამისი სამიზნე ჯგუფები მთელი საქართველოს მასშტაბით. ცნობიერების დონის ამაღლება, როგორც ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტი ნარჩენების მართვაში, ხელს შეუწყობს არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირებას და მოსახლეობის დაუდევარი დამოკიდებულების აღმოფხვრას ნარჩენების მიმართ. ეს, თავის მხრივ, დადებითად აისახება ქვეყნაში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე. ცნობიერების დონის ამაღლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს ეხება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშიც.¹¹³

130. აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების ხელშესაწყობად, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინიციატივით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ „სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს“ დაემატა გარემოსდაცვითი კომპონენტიც. სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში, ცენტრმა შეიმუშავა დამხმარე სახელმძღვანელო აღმზრდელთათვის - „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვით თემებს, მათ შორის, ნარჩენების მართვას. 2018 წელს გამოიცა განახლებული სახელმძღვანელო.¹¹⁴

131. გარემოსდაცვითი განათლების ხელშესაწყობად და ცნობიერების ასამაღლებლად, ცენტრი ახორციელებს აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებით. 2018 წლის განმავლობაში ამ მიზნით ჩატარდა ლექცია-სემინარები მოსწავლეების, სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის.¹¹⁵

132. მუნიციპალიტეტებისა და კერძო სექტორის შესაძლებლობათა გასაძლიერებლად, ასევე, მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვადასხვა აქტივობას ახორციელებს. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შედგენა-განხორციელების ხელშესაწყობად, სამინისტროს მიმდინარე პროექტების ფარგლებში, ყველა რეგიონში გაიმართა, დაახლოებით, 25 ტრენინგი, ამ უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ტრენინგებში მონაწილეობდა თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.¹¹⁶ 2018-2019 წლებში გაიმართა მედიატურებიც, სადაც მედიის წარმომადგენლები გაეცნენ ნარჩენების მართვის საკანონმდებლო მოთხოვნებს, ვალდებულებებს, თანამდეროვე მეთოდებს და ა. შ.¹¹⁷

133. დამატებით, სამინისტრო სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის აქტიურად აწყო შესხვედრებს, სემინარებსა და ფორუმებს. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში მიმდინარეობს სასწავლო კურსი „გარემოსდაცვითი მმართველი“. მისი მიზანია კომპანიებისთვის შესაბამისი კადრის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, კანონით დაკისრებული მოთხოვნებისა და თანამდეროვე სამყაროს სტანდარტების გათვალისწინებით. 2018 წლის განმავლობაში სასწავლო კურსი „გარემოსდაცვითი მმართველი“ გაიარა 40-მა დაინტერესებულმა პირმა.¹¹⁸ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა

¹¹³ იხ. წყარო 17, გვ. vi.

¹¹⁴ იხ. წყარო 51, გვ. 35.

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ზეპირი ინფორმაცია, 2019.

¹¹⁷ იგივე.

¹¹⁸ იხ. წყარო 51, გვ. 139.

და განათლების ცენტრის მონაცემებით, კურსი 2015 წლიდან ხორციელდება და 2019 წლის გაზაფხულისთვის, ჯამში, 355-მა მონაწილემ გაიარა.¹¹⁹

134. როგორც საჯარო უწყებების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ჩატარებული ტრენინგების მიუხედავად, არსებული მდგომარეობა პრაქტიკულად არ იცვლება. ეს გამოწვეულია კადრების ხშირი ცვლით და აქარწყლებს სამინისტროსა და მისი პარტნიორი თუ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევას, რომ აამაღლონ მუნიციპალიტეტთა შესაძლებლობები ნარჩენების მართვის სფეროში. შესაბამისად, ამ ნაწილში იკვეთება, რომ აუცილებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის როლის გაძლიერება.

135. საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები სისტემური უნდა იყოს, როგორც ამას ადგენს კანონი. „საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და შესაბამისი სპეციალისტების მომზადების მიზნით, იქმნება გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებათა, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა ქსელს.“¹²⁰

136. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გააქტიუროს ძალისხმევა განათლებისა და ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად ნარჩენების მართვის საკითხებზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს როგორც საჯარო მოხელეებზე, ასევე მოსახლეობაზე, შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით. სამინისტრომ 2020 წლის 1 დეკემბრამდე გარემოს კომიტეტს წარუდგინოს ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა, შესაბამისი ვადების მითითებით.

137. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურის თანამშრომელთა რეგულარულ პროფესიულ გადამზადებაში. ამგვარად, მან უნდა განაგრძოს გადამზადების კურსების ინტენსიურად ჩატარება და ისინი ხელმისაწვდომი გახადოს მთელი საქართველოს მასშტაბით. ცენტრმა კომიტეტს 2020 წლის 1 დეკემბრამდე უნდა წარუდგინოს ინფორმაცია 2021 წელს ნარჩენების მართვის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებზე.

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხლი 8, მოძიებულია ბმულიდან <https://bit.ly/2CEE87x>.

საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები

138. საქართველოს კონსტიტუცია - ახალი რედაქციის თანახმად, გარემოს დაცვის უფლება გულისხმობს ადამიანის უფლებას, „ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით.“¹²¹ ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის უფლება არაერთ ასპექტს მოიცავს და პრაქტიკაში უნდა განხორციელდეს ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესთა დაცვით, თუმცა, წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის, აქცენტი კეთდება ნარჩენების მართვის საკანონმდებლო რეგულაციაზე.

139. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ — დოკუმენტი მიღებულია 2014 წლის 5 თებერვალს და განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, მისი ორგანოების უფლებამოსილებებს და შექმნისა და საქმიანობის წესებს. კოდექსის მე-16 მუხლის ახალი რეგულაცია პირდაპირ ადგენს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მუნიციპალური ნარჩენების მართვის კუთხით. თვითმმართველობის კოდექსში ამ რეგულაციის ასახვა განაპირობა „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიღებამ (2015). თუმცა, ახალმა საკანონმდებლო აქტებმა ნარჩენების მართვის კუთხით არსებულ გამოწვევებს სრულად ვერ უპასუხა.

140. „საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ“ - ნარჩენების მართვის რეგულირებას გარემოს დაცვის სფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილავს. კანონი იცნობს „ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპს“, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მინიმიზაციის ტექნოლოგიის დანერგვას. ამავე კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციამოვალეობებს: კერძოდ, ნარჩენების მართვის ორგანიზებას პირდაპირ მიაკუთვნებს სამინისტროს კომპეტენციას. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 15 იანვარს ძალაში შევიდა IX თავის ცვლილებები, რომლებიც ნებისმიერ სუბიექტს ავალდებულებს ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვას ნარჩენების მიმართ. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს ნარჩენების პრევენციას, შეგროვებას, აღდგენასა და განთავსებას.

141. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ - მიღებულია 2014 წელს და ამოქმედდა 2015 წლის 15 იანვარს. კანონი ადგენს სამართლებრივ საფუძვლებს ისეთი ღონისძიებების დასაწერად, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, ხელახალ გამოყენებას და გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას (რაც მოიცავს რეციკლირებას და მეორადი ნედლეულის გამოცალკევებას, ნარჩენებიდან ენერჯის აღდგენას, ასევე, ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას). კოდექსი შემუშავებულია ევროკავშირის დირექტივების საფუძველზე, შეესაბამება საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს და აყალიბებს ნარჩენების მართვის სამართლებრივ მექანიზმს. იგი ეყრდნობა ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტების მოთხოვნებს, როგორცაა: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 19 ნოემბრის დირექტივა (2008/98/EC) ნარჩენების მართვის შესახებ, 1991 წლის 26 აპრილის დირექტივა (1999/31/EC) ნაგავსაყრელების შესახებ და ევროკავშირის ნარჩენებთან დაკავშირებული სხვა რეგულაციები.

¹²¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29, ნაწილი 1, მოძიებულია ბმულიდან <https://bit.ly/2Ru6neg>.

142. „საქართველოს კანონი ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ“ - ამოქმედდა 2016 წლის 1 ივლისიდან. კანონი არეგულირებს ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვას და აზუსტებს არასახიფათო ნარჩენების ექსპორტისა და ტრანზიტის საკითხებს. არასახიფათო ნარჩენების ექსპორტსა და ტრანზიტს არ ესაჭიროება ნებართვა ან/და ბაზელის კონვენციით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების პროცედურა, თუ ამას არ მოითხოვს იმპორტის ან ექსპორტის კომპეტენტური ორგანო სახელმწიფოში. საქართველოში იმპორტისა და ექსპორტისთვის დაშვებული ნარჩენების ნუსხა განისაზღვრა მთავრობის დადგენილებით. კანონი ადგენს: ნარჩენებს, რომელთა იმპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი აკრძალულია; ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის ნებართვულ შემთხვევებს; და იმპორტის, ექსპორტისა თუ ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესსა და პირობებს. ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბაზელის კონვენციის შესაბამისად. ნებართვის გამცემ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

143. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს. მეათე კარი „დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ“ ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და სახეებს. კერძოდ:

- ✓ მუხლი 288. გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა;
- ✓ მუხლი 293. ზღვის დაბინძურება;
- ✓ მუხლი 294. ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება.

144. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - ცალკე თავი ეთმობა გადაცდომებს გარემოს დაცვის სფეროში:

„თავი VII. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღზრდის სფეროში“. აღნიშნულ თავში ასახული ნორმები ითვალისწინებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახეებს, რომელთა ნაწილი ნარჩენების სფეროში არსებული სამართლებრივი ნორმების დარღვევისთვის დგება:

- ✓ მუხლი 58. წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა;
- ✓ მუხლი 58¹. ზღვის დაბინძურება;
- ✓ მუხლი 795. ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის სანებართვო პირობების დარღვევა.

145. ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა - შემუშავდა ევროკავშირის მხარდაჭერით პროგრამის „საქართველო-ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების მიზნით ნარჩენების მართვის საკანონმდებლო ბაზის განვითარება“ ფარგლებში. ეროვნულ სტრატეგიაში ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები და მიზნები დაჯგუფებულია ცხრა მიმართულებად:

- კანონმდებლობა;
- ნარჩენების მართვის დაგეგმვა;

- ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება;
- ნაგავსაყრელები;
- პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა;
- ხარჯების ამოღება;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება;
- მონაცემები ნარჩენების შესახებ;
- მართვის შესაძლებლობები.

146. სამოქმედო გეგმა შემუშავდება 5 წელიწადში ერთხელ. პირველი სამოქმედო გეგმა მოიცავს 2016-2020 წლებს. ეს არის ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება განახლდეს. სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას აქვს ერთიანი ფორმატი და გეგმაში წარმოდგენილი ღონისძიებები ემსახურება სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. აღნიშნული სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა მყარ საფუძველს ქმნის ნარჩენების მართვის სისტემის ეტაპობრივი ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის.

147. საქართველოს მთავრობის აქტები:

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა - ამ დოკუმენტში ასახულია გარემოსდაცვითი პრიორიტეტები, ასევე, განსაზღვრულია გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები, უახლოეს 5 წელიწადში განსახორციელებელი ამოცანები, და კონკრეტული ქმედებები გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მესამე ეროვნული პროგრამა შემუშავდა სამი ძირითადი პოლიტიკური ტენდენციის გათვალისწინებით:

- ✓ „შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ“;
- ✓ „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები“ და გარემოსდაცვითი საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მხარეც არის საქართველო;
- ✓ გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ეროვნული და დარგობრივი სტრატეგიები.

ეროვნული პროგრამა ცალკე განიხილავს ნარჩენების სფეროში არსებულ გამოწვევებსა და პრიორიტეტებს. იგი განსაზღვრავს ნარჩენების მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბებისთვის საჭირო ღონისძიებებს, გეგმავს ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარებას, ასევე, კონკრეტულ ნაბიჯების გადადგმას „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპისა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესასრულებლად.

დამატებით, აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის სხვა აქტებიც:

- „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ - 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილება;
- „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ - 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილება¹²²;

¹²² შენიშვნა: ვრცელდება შემდეგ საქმიანობებზე: 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება; არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება; ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა და ოპერირება (ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობები, რომლებიც ექვემდებარება რეგისტრაციას).

- „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ - 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილება;
- „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ - 2016 წლის 1 აპრილის №159 დადგენილება;
- „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ - 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილება;
- „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის დამტკიცების თაობაზე“ - 2016 წლის 29 მარტის №143 დადგენილება;
- ტექნიკური რეგლამენტის - „ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობაზე“;
- „აღრიცხვა-ანგარიშგების ელექტრონული ფორმებისა და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ფორმების შევსების წესის შესახებ“ - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის №2-11 ბრძანება;
- „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანება;¹²³
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების სიტუაციური სახელმძღვანელო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 19.05.2017;¹²⁴
- „ნაგავსაყრელების ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2001 წლის 23 ოქტომბრის №91 ბრძანება.

სამართალდარღვევები

148. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის „ცხელ ხაზზე“ 2018 წელს 2,601 შეტყობინება დაფიქსირდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევაზე. „ცხელი ხაზის“ მეშვეობით გამოვლენილი სამართალდარღვევების 2018 წლის სტატისტიკის მიხედვით, ნარჩენებით გარემოს დაბინძურება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ცხელ ხაზზე დაფიქსირებული 2,601 შეტყობინებიდან 216 ნარჩენებით გარემოს დაბინძურებას ეხებოდა.¹²⁵

149. გარდა „ცხელ ხაზზე“ დაფიქსირებული შემთხვევებისა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2018 წელს ნარჩენების მართვის

¹²³ შენიშვნა: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის საქმიანობაზე წარდგენილი ანგარიშის თანახმად: „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების გაერთიანების მიუხედავად, ბრძანება ძალადაკარგული არ არის. ის ვრცელდება ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1,000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი წარმოიქმნება. ამ ეტაპზე სამინისტროსთან შეთანხმებულია 700-მდე კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა; 3,960 კომპანიას ჰყავს დანიშნული გარემოსდაცვითი მმართველი და მათი ვინაობა წარდგენილია სამინისტროში“.

¹²⁴ დღეისათვის, დაახლოებით, 60 მუნიციპალიტეტს აქვს შემუშავებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა. „საკანონმდებლო მაცნეში“ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, წყალტუბოს, ტყიბულის, ვანის, აბაშის, სენაკისა და თიანეთის ნარჩენების მართვის გეგმები დამტკიცდა 2017-2019 წლებისთვის და რამდენიმე თვეში ძალადაკარგულად გამოცხადდა.

¹²⁵ იხ. წყარო 105, გვ. 162.

კოდექსის დარღვევის 566 ფაქტი გამოავლინეს.¹²⁶ დეპარტამენტის ინფორმაციით, ეს დარღვევები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება - **153 ფაქტი**;
- სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება - **154 ფაქტი**;
- შლამისებრი ნივთიერებებით - ფეკალური მასებით ან კანალიზაციის ნარჩენებით ტერიტორიის დაბინძურება - **36 ფაქტი**;
- ცხოველის სხეულის ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება - **17 ფაქტი**;
- მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა - **107 ფაქტი**;
- სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა - **37 ფაქტი**.

150. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში (2019 წლის 1 იანვრიდან 20 თებერვლამდე) ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის 305 ფაქტი გამოავლინეს.¹²⁷ ამავე პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან სიგარეტის ნამწვით გარემოს დაბინძურების დარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 161 ოქმი, ხოლო მასალები შემდგომი განხილვისთვის შესაბამის რაიონულ სასამართლოებში გადაიგზავნა.¹²⁸ დამატებით, გარემოს კომიტეტის სამუშაო ჯგუფმა სამართალდარღვევებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისგან გამოითხოვა ინფორმაცია ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევათა შესახებ (იხ. ცხრილი 1).¹²⁹

	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი	შინაგან საქმეთა სამინისტრო	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
2017 წელი	572	10, 272	1,510
2018 წელი	827	12,670	572
2019 (იანვარი-ივნისი) წელი	-	4,932	827

151. სამივე უწყების მიერ გამოვლენილ სამართალდარღვევათა ჯამური რაოდენობა 2018 წელს და 2019 წლის 6 თვეში, შესაბამისად, 16,297-სა და 8,540-ს შეადგენს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სამართალდარღვევათა რაოდენობა პრაქტიკულად არ იცვლება. საყურადღებოა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

¹²⁶ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 2018 წელს ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის 566 ფაქტი გამოვლინდა, 18 იანვარი 2019, მოძიებულია 10 ივლისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2FCj03m>

¹²⁷ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 1 იანვრიდან დღემდე, ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის 305 ფაქტი გამოვლინდა, 20 თებერვალი 2019, მოძიებულია 10 ივლისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2xhztpl>

¹²⁸ იქვე.

¹²⁹ სამუშაო ჯგუფის მიერ თემატური მოკვლევის ფარგლებში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან, თბილისის მუნიციპალიტეტიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაცია.

2019 წლის ანგარიში. ამ დოკუმენტის თანახმად, ინსპექტირებისა და პატრულირების საფუძველზე გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 10,553 ფაქტი, მათ შორის, 2,090 ეხებოდა ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევას.¹³⁰ 24-საათიანი ცხელი ხაზის მეშვეობით, გამოვლინდა ნარჩენებით გარემოს დაბინძურების 309 ფაქტი.¹³¹

152. ზემოაღნიშნული მონაცემებიდან ძნელია ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება, თუ რამდენად ეფექტიანი იყო სამართალდარღვევათა გამოვლენაზე პასუხისმგებელი ორგანოების მოქმედება. ეს საჭიროებს უფრო გრძელვადიანი კვლევის მონაცემთა ანალიზს. თუმცა, მოწოდებული ინფორმაცია ნათლად წარმოაჩენს, რომ აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების გატარება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.

153. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს 2021 წლის 1 თებერვლამდე უწყებათშორისი სამთავრობო კომისიის შექმნა, რომელიც კონცენტრირდება საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებასა და პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვასა და აღსრულებაზე. აღნიშნული კომისიის სამოქმედო გეგმა შესაბამისი ვადების მითითებით წარედგინოს გარემოს კომიტეტს 2021 წლის 31 მარტამდე.

ახალი საკანონმდებლო რეგულაცია

154. მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ საჭიროა დამატებითი ძალისხმევა მოქმედი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისთვის; ასევე, უნდა დაიხვეწოს ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა აღსრულება.

155. მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ ამ პოლიტიკის შეცვლის საკმარისი მოტივაცია, რაც, თავის მხრივ, უარყოფით ზეგავლენას ახდენს მომსახურების ხარისხსა და ტექნიკურ აღჭურვილობაზე. საჭიროა ახალი რეგულაციის შემოღება, რომელიც სავალდებულოდ გახდის მუნიციპალიტეტებისთვის სატარიფო პოლიტიკის შეცვლას, შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

156. სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და გადამუშავება პრობლემატურია როგორც მოსახლეობის, ასევე მომსახურე სტრუქტურების კუთხით. არ არის გამართული შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მათ შორის, სახიფათო ნარჩენების შეგროვების პუნქტები და ნაგავსაყრელები. 2019 წლის დეკემბრიდან ძალაში შედის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, რომელიც გარკვეულწილად დაარეგულირებს ამ პრობლემას. ამასთან, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება, რომელიც ხელს შეუწყობს მეწარმეებს ამ ვალდებულების შესრულებაში.

157. აუცილებელია მუნიციპალიტეტთა შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის სფეროში, ასევე, კომუნიკაციის გაუმჯობესება აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო სტრუქტურებსა და მუნიციპალიტეტებს შორის. ამჟამად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ გააჩნია საკანონმდებლო დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმების ხარისხის მონიტორინგის უფლებამოსილება. აღნიშნული მიზანშეწონილია, ეს საკითხი

¹³⁰ იხ. წყარო 107.

¹³¹ იგივე.

დარეგულირდეს თვითმმართველ ერთეულებთან კონსენსუსით. არსებული პრაქტიკით, სახელმწიფო სუბსიდირებაზე მუნიციპალიტეტების დამოკიდებულება მაღალია და აუცილებელია ამ მიდგომის შეცვლა. იმის მიუხედავად, გეგმების წარმოდგენა ნებაყოფლობითი იქნება თუ არა, ეს საკითხი მკაცრად უნდა დარეგულირდეს.

158. საქართველოს მთავრობამ, ბიზნესსექტორის ჩართულობით, 2022 წლისთვის შეიმუშაოს საკანონმდებლო პაკეტი და მოახდინოს მათი ინიცირება. ეს შექმნის ნარჩენების გადამუშავებისა და რეციკლირების წამახალისებელ გარემოს.

6 ნარჩენები და საზოგადოებრივი ჯანდაცვა

159. ნარჩენებთან არასწორი მოპყრობა, მათი შეგროვება, შენახვა და ტრანსპორტირება სტანდარტების დაუცველად, მნიშვნელოვან რისკს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს. ნაგავსაყრელებზე არასწორად განთავსებული ნარჩენები ღვებდა და ატმოსფეროში სხვადასხვა მავნე აირებს გამოყოფს.¹³² ნარჩენებში მუდმივად ჟონავს წვიმის წყალი, რომელიც ბინძურდება და, ნაჟური წყლების შემკრები სისტემის არარსებობის შემთხვევაში, ერევა მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებს. ეს, თავის მხრივ, ინფექციური დაავადებების გავრცელების მიზეზი ხდება.¹³³ ნარჩენების არასწორი მართვა, მაგალითად, ზეთებისა და პლასტიკის წვა, წარმოქმნის ტოქსიკურ გამონაბოლქვს და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს.¹³⁴

160. სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული პოზიციები დეტალურად არ აღწერს ნარჩენებით დაბინძურების გავლენას გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, თუმცა ეს საკითხი მაინც ფიგურირებს დასაბუთებულ მოსაზრებებში. ერთ-ერთი პოზიციის ავტორი პავლე ჩუბინიძე მიიჩნევს, რომ ნარჩენების მართვის ღონისძიებები (მაგ.: ნარჩენების შემცირება, ხელმეორედ გამოყენება, გადამუშავება, ენერჯიად გარდაქმნა და ნაგავსაყრელებზე განთავსება) სრულყოფილად უნდა განხორციელდეს, რათა შემცირდეს გავლენა გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე.¹³⁵

161. ყველა ძირითად საკანონმდებლო აქტში, რომელიც ნარჩენების სფეროს არეგულირებს, აღნიშნულია, რომ ნარჩენების სრული ციკლი უნდა იმართებოდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად.¹³⁶ თუმცა, საყურადღებოა, რომ საქართველოს გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEHAP-II) ნარჩენების მართვის მხრივ ეხება მხოლოდ ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებით გამოწვეული ავადობის პრევენციას.¹³⁷

162. ნარჩენების განთავსება, განსაკუთრებით, რეგიონებსა და არაურბანულ ზონებში, წლების მანძილზე ასოცირდებოდა უკონტროლო/არაოფიციალურ ნაგავსაყრელებზე, ხევებში, გზების პირას და მდინარეების ნაპირზე განთავსებასთან, ყოველგვარი უსაფრთხოების ზომებისა და სანიტარულ-გარემოსდაცვითი ნორმების უგულვებელყოფით.¹³⁸ ამჟამად არსებული მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა (იხ. პუნქტი 17), თუმცა ეს არ იძლევა საფუძველს საკითხზე მუშაობისა ან შემდგომი პროცედურების გასაუმჯობესებლ ღონისძიებათა შეწყვეტისათვის.

¹³² დათო ფარულავა, *ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი - რა იცვლება ნარჩენების მართვის სისტემაში?*, 5 ივნისი 2018, მოძიებულია 5 ივლისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2XC0vSx>.

¹³³ იქვე.

¹³⁴ საქართველოს მელიორაცია, *ლევან დავითაშვილმა სამთავრობო პროგრამის ფარგლებში არსებულ გეგმებზე ისაუბრა*, 19 ივნისი 2018, მოძიებულია 10 ივლისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2JLFCjc>.

¹³⁵ დასაბუთებული მოსაზრება, პავლე ჩუბინიძე, *მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობა*, ხელმისაწვდომია ბმულიდან <https://bit.ly/2LW1ife>.

¹³⁶ იხ. წყარო 1.

¹³⁷ საქართველოს გარემოს და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, გვ. 10, მოძიებულია 10 ივნისი 2020 ბმულიდან <https://bit.ly/2I46dIT>.

¹³⁸ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ სტრატეგია 2014-2024 წწ, გვ. 4, მოძიებულია 10 ივლისი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/2Y6Exro>.

„თუკი ნაგავსაყრელებზე მოხვედრილი ნარჩენების მოვლა-პატრონობა სათანადოდ მოხდება, დიდა ალბათობა, რომ ნაკლებად და ზიანდეს გარემო და ჩვენი ჯანმრთელობაც მეტად სახარბიელო გახდეს.“

ალვერდ ჩანქსელიანი
ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

163. ინსენერაცია არ არის ნარჩენების გადამუშავების უსაფრთხო მეთოდი: ამ პროცესში გამოყოფილი ტოქსიკური აირები საფრთხის ქვეშ აყენებს მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობას. რისკები ყველაზე მაღალია მაშინ, როდესაც ინსენერატორი გაუმართავია, ან არასწორად გამოიყენება.¹³⁹

164. გარემო ფაქტორების ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია, რომელიც მულტისექტორულ მიდგომას საჭიროებს. მხოლოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების ჩართულობა არ კმარა გამოწვევების აღმოსაფხვრელად, ან მათი პრევენციისთვის.

165. დამატებით, აღსანიშნავია, რომ ნარჩენების მართვის კოდექსი აწესებს, რომ ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, კერძოდ, ისე, რომ ნარჩენების მართვამ არ გამოიწვიოს ზიანი ხმაურითა და სუნით.¹⁴⁰ ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ნარჩენების ურნების მოვლის აუცილებლობა, კერძოდ, მათი გარეცხვა სტანდარტების დაცვით. არსებული პრაქტიკის თანახმად, ნაგვის ურნები და მანქანები თვეში ერთხელ ირეცხება ქლორის გამოყენებით.



სურათი 7 - იალღუჯას ნაგავსაყრელი, საქართველო (ფოტო არქივიდან: 2012, ლევან ხერხეულიძე)

166. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ურნების სისტემატიური რეცხვა განკუთვნილი ხსნარის გამოყენებით, რომლის ნარეცხი

¹³⁹ Safe management of wastes from health-care activities, Second edition. Edited by Yves Chartier, Jorge Emmanuel, Ute Pieper, Annette Prüss, Philip Rushbrook, Ruth Stringer, William Townend, Susan Wilburn and Raki Zghondi, chapter 8.8.1., გვ. 116; მოძიებულია 20 ივლისი 2020 ბმულიდან <https://bit.ly/32d5jn5>.

¹⁴⁰ იხ. წყარო 1, მუხლი 5, ნაწილი 1(ბ).

გადაიღვრება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე 2021 წლის 1 იანვრიდან. ამასთანავე, გარემოს კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ურნების გასარეცხი სპეციალური ტექნიკის (იხ. სურათი 8) შექმნას, რომელიც დროის, ადამიანური და ფინანსური რესურსების დაზოგვისკენ იქნება მიმართული.

167. მუნიციპალიტეტმა (მათ შორის, აჭარის ა/რ) ეტაპობრივად 2021 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყონ ახალი ურნების დამატება, რაც მაქსიმალურად შეამცირებს სტიქიური ნაგავსაყრელების კერების გაჩენას.



სურათი 8 - GLEAM Bin Cleaning & Pressure Washing Services (წყარო: <https://bit.ly/2SGYmV9>)

7 გარემოს კომიტეტის რეკომენდაციები

შენიშვნა: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშს მიიღებს წერილობითი ან ზეპირი სახით და სახელმწიფო უწყებებთან წინასწარ შეთანხმებული ფორმით.

სატარიფო პოლიტიკა და ხარჯების ამოღება მუნიციპალიტეტებში

1. 2022 წლის 31 დეკემბრამდე მუნიციპალიტეტებმა შეიმუშაონ ახალი ტარიფები, რეალური ხარჯებისა და სერვისების გაუმჯობესების გათვალისწინებით; შესაბამისმა სამინისტროებმა (ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის) დახმარება გაუწიონ მათ (მეთოდოლოგიების მიწოდებით, კონსულტაციებით, ტრენინგებით) და, საჭიროების შემთხვევაში, მოამზადონ წინადადებები (პუნქტი 41).

2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2020 წლის 15 დეკემბრამდე გარემოს კომიტეტს წარუდგინოს ანგარიში მთავრობის მიერ 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ სადაც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული მიზნების ადეკვატურობის შეფასებისა და ღონიძირების განხორციელების პროგრესი მათი ამოქმედების დღიდან 2019 წლის ბოლომდე (პუნქტი 42).

ნარჩენების აღდგენის (რეციკლირება და სხვა სახეები) განვითარების ბარიერები

3. საქართველოს მთავრობამ, ფინანსთა და სხვა დაინტერესებული სამინისტროების, ასევე, გარემოს კომიტეტის ჩართულობით, 2022 წლისთვის პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში წარადგინოს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებასთან დაკავშირებული დაბეგვრის წესები და საგადასახადო შეღავათები (პუნქტი 60).

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2021 წლის 1 ივნისამდე გარემოს კომიტეტს წარუდგინოს დეტალური ინფორმაცია სეპარირებული მუნიციპალური ნარჩენების შემდგომი მართვის შესახებ (პუნქტი 62).

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ნაკლოვანებები

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, აჭარის ა/რ-ში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და მუნიციპალიტეტებმა, საჭიროებისამებრ, გადახედონ ნარჩენების გატანა-შეგროვების სისტემას და განახორციელონ მისი ოპტიმიზაცია. ეს, თავის მხრივ, გააუმჯობესებს სისტემის ეფექტიანობას, დაზოგავს ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს და დაფარავს საქართველოს მთელ ტერიტორიას. ანგარიში ამ რეკომენდაციის შესრულების პროგრესზე შესაბამისმა პასუხისმგებელმა უწყებამ/მუნიციპალიტეტმა 2021 წლის 1 აპრილამდე წარუდგინოს გარემოს კომიტეტს (პუნქტი 75).

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და აჭარის ა/რ-ში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, 2021 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, გაითვალისწინონ ნარჩენების შესაგროვებელი და გასატანი ტექნიკისთვის საჭირო ფინანსური რესურსები და, საჭიროებისამებრ, განაახლონ ან/და შეიძინონ ეს საშუალებები; ამ რეკომენდაციის შესრულების პროგრესი გარემოს კომიტეტს აცნობონ 2020 წლის 1 ნოემბრამდე (პუნქტი 76).

ოფიციალური და სტიქიური ნაგავსაყრელები

7. აჭარის ა/რ-ში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და მუნიციპალიტეტებმა განახორციელონ არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია და აღნიშნულზე ინფორმაცია კომიტეტს წარუდგინონ 2022 წლის 1 ივნისამდე (პუნქტი 90).

8. აჭარის ა/რ-ში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და მუნიციპალიტეტებმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შესაბამისი ზომები მიიღონ ნარჩენებისგან დასუფთავებული ადგილების რეაბილიტაციისათვის და თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. ამ ღონისძიებების განხორციელებაზე ინფორმაცია აჭარის ა/რ-ში ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და მუნიციპალიტეტებმა 2020 წლის 31 დეკემბრამდე წარუდგინონ გარემოს კომიტეტს (პუნქტი 91).

მუნიციპალიტეტების საჭიროებები

9. 2021 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას მუნიციპალიტეტებმა გაითვალისწინონ ნარჩენების შესაგროვებელი და გასატანი ტექნიკისთვის საჭირო ფინანსური რესურსები და, საჭიროებისამებრ, განაახლონ ან/და შეიძინონ ეს საშუალებები. ამ რეკომენდაციის შესრულების პროგრესი წერილობით აცნობონ გარემოს კომიტეტს 2020 წლის 1 ნოემბრამდე (პუნქტი 108).

10. საქართველოს მთავრობამ, 2022 წლიდან უზრუნველყოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ ნარჩენების მართვის კუთხით ყოველწლიური ხარჯვის ეფექტიანობისა და ხარჯთაღრიცხვის ანგარიშის გარემოს კომიტეტისათვის წარდგენა (პუნქტი 109).

11. მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა გაამკაცრონ ზედამხედველობა მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოების მიერ ნარჩენების 5-წლიანი გეგმების შესრულებაზე და წელიწადში ერთხელ გარემოს კომიტეტს მიაწოდონ ინფორმაცია ამ სფეროში მიღწეულ პროგრესზე (პუნქტი 110).

საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო სისტემის არარსებობა

12. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2020 წლის 1 დეკემბრამდე შეიმუშაოს შესაბამისი საინფორმაციო სისტემის დასაწარმოებლად აუცილებელი ღონისძიებები, მათი გატარების ვადებით, და გარემოს კომიტეტს წარუდგინოს 2021 წლის 1 მარტამდე. 2021 წლის 31 დეკემბრამდე სამინისტრომ უზრუნველყოს ნარჩენების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო სისტემის ვებპორტალის შექმნა (პუნქტი 121).

ცნობიერების არასაკმარისი დონე ნარჩენების მართვის საკითხებზე

13. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გააქტიუროს ძალისხმევა განათლებისა და ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად ნარჩენების მართვის საკითხებზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს როგორც საჯარო მოხელეებზე, ასევე მოსახლეობაზე, შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით. სამინისტრომ 2020 წლის 1 დეკემბრამდე გარემოს კომიტეტს წარუდგინოს ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა, შესაბამისი ვადების მითითებით (პუნქტი 136).

14. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურის თანამშრომელთა რეგულარულ პროფესიულ გადამზადებაში. ამგვარად, მან უნდა განაგრძოს გადამზადების კურსების ინტენსიურად ჩატარება და ისინი ხელმისაწვდომი გახადოს მთელი საქართველოს მასშტაბით. ცენტრმა კომიტეტს 2020 წლის 1 დეკემბრამდე უნდა წარუდგინოს ინფორმაცია 2021 წელს ნარჩენების მართვის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებზე (პუნქტი 137).

სამართალდარღვევები

15. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს 2021 წლის 1 თებერვლამდე უწყებათშორისი სამთავრობო კომისიის შექმნა, რომელიც კონცენტრირდება საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებასა და პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვასა და აღსრულებაზე. აღნიშნული კომისიის სამოქმედო გეგმა შესაბამისი ვადების მითითებით წარედგინოს გარემოს კომიტეტს 2021 წლის 31 მარტამდე (პუნქტი 153).

ახალი საკანონმდებლო რეგულაცია

16. საქართველოს მთავრობამ, ბიზნესექტორის ჩართულობით, 2022 წლისთვის შეიმუშაოს საკანონმდებლო პაკეტი და მოახდინოს მათი ინიცირება. ეს შექმნის ნარჩენების გადამუშავებისა და რეციკლირების წამახალისებელ გარემოს (პუნქტი 158).

ნარჩენები და საზოგადოებრივი ჯანდაცვა

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ურნების სისტემატიური რეცხვა განკუთვნილი ხსნარის გამოყენებით, რომლის ნარეცხი გადაიღვრება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე 2021 წლის 1 იანვრიდან. ამასთანავე, გარემოს კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ურნების გასარეცხი სპეციალური ტექნიკის (იხ. სურათი 8) შეძენას, რომელიც დროის, ადამიანური და ფინანსური რესურსების დაზოგვისკენ იქნება მიმართული (პუნქტი 166).

18. მუნიციპალიტეტმა (მათ შორის, აჭარის ა/რ) ეტაპობრივად 2021 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყონ ახალი ურნების დამატება, რაც მაქსიმალურად შეამცირებს სტიქიური ნაგავსაყრელების კერების გაჩენას (პუნქტი 167).

რეკომენდაციები უწყებების მიხედვით

საქართველოს მთავრობა

- პუნქტები 60, 109, 153, 158.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

- პუნქტები 62, 75, 76, 166.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

- პუნქტები 75, 76, 90, 91, 167.

მუნიციპალიტეტები

- პუნქტები 41, 90, 91, 108, 110, 167.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- პუნქტები 41, 42, 60, 91, 121.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

- პუნქტები 41, 60, 109.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

- პუნქტი 41, 60, 91.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

- პუნქტები 60, 136.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- პუნქტები 41, 60.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

- პუნქტი 137.

8 წარმოდგენილი დასაბუთებული მოსაზრებები

თემატური მოკვლევის ფარგლებში წერილობით მიღებული დასაბუთებული მოსაზრებები ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე.

„მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ“ წარმოდგენილი პოზიციები:

- 1 მუნიციპალურ ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ საქართველოში | Eastern Analytics;
- 2 არაფორმალური განათლების როლი ნარჩენების მდგრადი მართვის პროცესში | კავშირი მდგრადი განვითარებისთვის ეკოხედვა/ECOVISION;
- 3 ნარჩენების მართვის მომსახურების მოსაკრებლისა და დანახარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავება | კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN);
- 4 მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობა | პავლე ჩუბინიძე;
- 5 მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობა, პოზიცია N1 | ა(ა)იპ „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო“;
- 6 მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობა, პოზიცია N2 | ა(ა)იპ „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო“;
- 7 ჩამდინარე წყლები | TOPECO;
- 8 საკომიტეტო მოკვლევა მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ | შპს TIRE GREEN, რევაზ ფოფხაძე;

თემატური მოკვლევის ფარგლებში წერილობით მიღებული დადასტურებული პოზიციები ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე.

9 ზეპირი მოსმენები

წერილობით წარმოდგენილი დასაბუთებული მოსაზრებების შესწავლის შემდეგ, გაიმართა საკითხის ზეპირი მოსმენა მოსაზრების წარმომდგენ დაინტერესებულ პირებთან და იმ სახელმწიფო უწყებებთან, რომელთა უშუალო კომპეტენციაშიც შედის თემატური მოკვლევის საგანი.

მოსაზრების წარმომდგენ დაინტერესებულ პირებთან ზეპირი მოსმენა | 2019 წლის 1 მარტი

სამუშაო ჯგუფის წევრები: კახა კუჭავა, ნინო წილოსანი, თინათინ ბოკუჩავა, მერაბ ქვარაია, მამუკა ჩიქოვანი.

კითხვებს პასუხობდნენ:

- ნინო შავგულიძე, ნინო თევზაძე, არჩილ ლეჟავა, რონი კვაჭაძე | CENN;
- ნინო სულხანიშვილი | ეკოხედვა/ECOVISION;
- აკაკი ფანჩულიძე | „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო“;
- პავლე ცაგარეიშვილი | „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო“.

საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა | 2019 წლის 27 მარტი

სამუშაო ჯგუფის წევრები: კახა კუჭავა, ნინო წილოსანი, მერაბ ქვარაია, დავით სონდულაშვილი.

კითხვებს პასუხობდნენ:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

- გიორგი კაპანაძე | დეპარტამენტის უფროსი

თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

- თამარ შარაშიძე | გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ლევან ჯღარკავა | შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია

- გივი ზაუტაშვილი | მერის მოადგილე;
- ტარიელ გრატიაშვილი | დასუფთავების სამსახურის უფროსი.

საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა | 2019 წლის 28 მარტი

სამუშაო ჯგუფის წევრები: კახა კუჭავა, მერაბ ქვარაია, მამუკა ჩიქოვანი.

კითხვებს პასუხობდნენ:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

- გიორგი კაკაურიძე | მინისტრის მოადგილე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

- გრიგოლ კაცია | მინისტრის მოადგილე;
- გიორგი შუხოშვილი | მყარი ნარჩენების კომპანიის დირექტორი;
- ხათუნა ჩიკვილაძე | მრჩეველი.

საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა | 2019 წლის 12 აპრილი

სამუშაო ჯგუფის წევრები: კახა კუჭავა

კითხვებს პასუხობდნენ:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- ალვერდ ჩანქსელიანი | ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ირმა გურგულიანი | ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე.

10 გამოყენებული წყაროები

ზოგადი წყაროები

- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2 თებერვალი 2015;
- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი საქმიანობის სახეების მიხედვით;
- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წლიური ანგარიში 2019;
- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წლიური ანგარიში 2018;
- ✓ ა(ა)იპ კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), ნარჩენების მართვის მომსახურების მოსაკრებლისა და დანახარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავება;
- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, 2014-2024 წლების სტრატეგია;
- ✓ პავლე ჩუბინიძე, მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობა;
- ✓ ეკოხედვა/ECOVISION, არაფორმალური განათლების როლი და მნიშვნელობა ნარჩენების მდგრადი მართვის პროცესში;
- ✓ აკაკი ფანჩულიძე, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო“, მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობა, პოზიცია N2;
- ✓ შპს „TIRE GREIN“, საკომიტეტო მოკვლევა მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ;
- ✓ საქართველოს გარემოსა და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- ✓ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების სიტუაციური სახელმძღვანელო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 19.05.2017;
- ✓ კომიტეტში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, შინაგან საქმეთა სამინისტროების და მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი ზეპირი და წერილობითი ინფორმაცია;
- ✓ Susan Wilburn and Raki Zghondi, Safe management of wastes from health-care activities, Second edition;
- ✓ United States Environment Protection Agency, Decision Maker’s Guide to Solid Waste Management Volume II;

- ✓ What is green growth and how can it help deliver sustainable development?, The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD).

საკანონმდებლო ჩარჩო

- ✓ საქართველოს კონსტიტუცია;
- ✓ 2008 წლის 19 ნოემბრის დირექტივა 2008/98/EC ევროპარლამენტისა და საბჭოს ნარჩენების შესახებ;
- ✓ საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ;
- ✓ საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი;
- ✓ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ;
- ✓ საქართველოს კანონი ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ;
- ✓ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- ✓ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N1124 განკარგულება „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 ივლისის დადგენილება N532018 „ყვარლის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის საინფორმაციო ბიულეტენი #3, ნარჩენების მართვის ახალი სისტემა საქართველოში, ოქტომბერი 2018;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა, 3 აპრილი 2019.

საქართველოს მთავრობის დადგენილებები

- ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილება „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N422 დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილება „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;

- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №421 დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“;
- ✓ 2016 წლის 1 აპრილის №159 დადგენილება „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“;
- ✓ 2016 წლის 29 მარტის №143 დადგენილება „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის დამტკიცების თაობაზე“.

მინისტრის ბრძანებები

- ✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის №2-11 ბრძანება „აღრიცხვა-ანგარიშგების ელექტრონული ფორმებისა და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ფორმების შევსების წესის შესახებ“.

მედია და ინტერნეტრესურსები

- ✓ „მამუკა ბახტაძე: ჩვენს პრიორიტეტად განვსაზღვრეთ მწვანე პოლიტიკა და მწვანე ეკონომიკა“, საქართველოს ახალი ამბების სააგენტო, 28 სექტემბერი 2018, მოძიებულია 2019 წლის 10 ივნისს, ბმულიდან <https://bit.ly/2Fwb43r>;
- ✓ „პრობლემური ნაგავსაყრელები“, ილია კილაძე, პირველი არხი, 29 იანვარი 2018, მოძიებულია 2019 წლის 15 ივლისს, ბმულიდან <https://bit.ly/2XXspOh>;
- ✓ დათო ფარულავა, „ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი - რა იცვლება ნარჩენების მართვის სისტემაში?“ 5 ივნისი 2018, მოძიებულია 2019 წლის 5 ივლისს, ბმულიდან <https://bit.ly/2XC0vSx>;
- ✓ საქართველოს მელიორაცია, ლევან დავითაშვილმა სამთავრობო პროგრამის ფარგლებში არსებულ გეგმებზე ისაუბრა, 19 ივნისი 2018, მოძიებულია 2019 წლის 10 ივლისს, ბმულიდან <https://bit.ly/2JLFCjc>;
- ✓ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, „2018 წელს ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის 566 ფაქტი გამოვლინდა“, 18 იანვარი 2019, მოძიებულია 2019 წლის 10 ივლისს, ბმულიდან <https://bit.ly/2FCj03m>;
- ✓ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, „1 იანვრიდან დღემდე ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის 305 ფაქტი გამოვლინდა“, 20 თებერვალი 2019, მოძიებულია 2019 წლის 10 ივლისს, ბმულიდან <https://bit.ly/2xhztpl>;

- ✓ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, „1 იანვრიდან დღემდე ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის 305 ფაქტი გამოვლინდა“, 20 თებერვალი 2019, მოძიებულია 2019 წლის 10 ივლისს, ბმულიდან <https://bit.ly/2xhztpl>;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“, მოძიებულია 2019 წლის 18 ივნისს ბმულიდან <https://bit.ly/2WYI7TS>;
- ✓ „კახა კუჭავა - მუნიციპალიტეტებში აუცილებელია ნარჩენების სეპარირების მეთოდი დაინერგოს და გადამამუშავებელი ქარხნების ქსელი შეიქმნას“, ინტერპრესნიუსი, 30 ოქტომბერი 2018, მოძიებულია 2019 წლის 10 ივნისს, ბმულიდან <https://bit.ly/2NgBp9Z>;
- ✓ „მუნიციპალური ნაგავსაყრელები 8 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელით ჩანაცვლდება“, Reginfo.ge, 24 იანვარი 2019, მოძიებულია 2019 წლის 14 ივნისს, ბმულიდან <https://bit.ly/34yblwQ>;
- ✓ „თბილისის მერია ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავებას იწყებს“, ინტერპრესნიუსი, 27 ნოემბერი 2019, მოძიებულია 2019 წლის 28 ნოემბერს, ბმულიდან <https://bit.ly/2SiXojN>.